# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№143 (9823) 2024 წლის 13 დეკემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი


## ღმერთო, გევედრები, შეაყვარე ქართველს ქართველი და ორივეს — საქართველო!

4

ოპოზიციის სალოცავი ბრიუსელია, ხოლო ქართველი ხალხის უმრავლესობისათვის სალოცავია ქრისტიანული ეკლესია, მათი ზნეობრივი სახე, რამდენჯერმე გათხოვილი კაცი მიხეილ როთია, ჩვენი კი სულიერი მოძღვარი და მართლმადიდებელი წინამძღოლი, 91 წლის პატრიარქი ილია მეორე.

### რჩევა ხელისუფლებას!

## ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისთვის გასაგზავნი წერილის მონახაზი და შედარებით ვრცელი შესავალი



3

იაკობ ლეჟავა

## ოკეანედალეული ქართველი პუბლიცისტის აწონილი სიტყვა

## პოლიტიკური პატიმრის ბესო ხვინთელიანის სიმართლე



6

### გუშინ სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულად დავით ვერაგა დაინიშნა





12

## ქვევრის ღვინის მწარმოებელი 12 მარანი ბერლინის გამოფენაზე

## ამაზრზენი ტყუილი!



### ირაკლი ღარიბაშვილი აბსურდულს უწოდებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს მან პარტია დატოვა

**მინდა, გამოვეხმაურო ამ აბსურდულ ცილისწამებას, ბრალდებებს და ამ ტყუილს, რომელიც საზოგადოებამ იხილა ამ ბოლო დღეების განმავლობაში, ჩვენ განცხადებაც გავავრცელეთ, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მე თურმე პროტესტის ნიშნად დავტოვე პარტია, გუნდს გავემიჯნე, რაღაც გავაპროტესტე და, მითუმეტეს, კრიზისის დროს, იმ ფონზე, როდესაც ჩვენი ქვეყნის წინაშე იყო ძალიან დიდი გამოწვევები. თითქოს ამ ფონზე დავტოვე მე პარტია — ეს არის აბსურდი, მე ვინც მიცნობს და მგონი ყველა კარგად მიცნობს, ეს არ არის ჩემი ხელწერა. მე მაქვს ჩემი წესები, პრინციპები. ამ წესებით ვცხოვრობ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება და ამ წესებს არასოდეს გადავუხვევ.**

მე ასევე მინდა, გამოვეხმაურო იმ აბსურდულ, ამაზრზენ ტყუილს, რომელიც გააჟღერა ერთ-ერთმა არარაობამ, არ მოვერიდები ამის თქმას, და მოღალატე ბაჩიაშვილმა და მისმა მსგავსმა მოღალატე გახარიამ. იცით რა, მე მეუხერხულება... ყველა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს იმის საჭიროება, რომ ექიმთან მივიდეს, რაღაც ძალიან მსუბუქი დაზიანება მივიღე ვარჯიშის დროს და ამაზე ამხელა სკანდალი და ამაზრზენი, შეურაცხმყოფელი ტყუილები მოიგონეს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ყველაფერი არის ძალიან დიდი ტყუილი!

## სახელოვანი თანამემამულე



**სრულიად** საქართველოს რაჭის განვითარების ფონდი, რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირი დაბადების 85-ე წლისთავს ვულოცავთ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ **როინ მეტრეველს**. ვუსურვებთ დღეგრძელობას და დიდ წარმატებებს შემოქმედებაში.

**ოთარ კერვალიშვილი,**
საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი;

**ფრიდონ (იაგო) გოგრიჭიანი,**
ბიზნესმენი.

## მისტერ ოფშორი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას აფინანსებს!



## კეზერას „ბრილიანტების“ სახლი

5

11

## ხოშტარიას და კეზერაშვილის რუბლს სუნი არ ასდის?!

## „რა კარგ დროში ვცხოვრობთ!“



# ევროკავშირის მოთხოვნებს, ვიზალიბერალიზაციის შეჩერებასა და შსს მაღალჩინოსნების დასანქცირებაზე რიგი ქვეყნები მხარს არ დაუჭერენ

**16 დეკემბერს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე საქართველოსთან დაკავშირებით უნდა იმსჯელონ და როგორც ცნობილი ხდება, უკვე არსებობს კონკრეტული „დასჯის“ მექანიზმები, რომლითაც ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების დასჯას მოითხოვენ. ასევე საუბარი მიდის ვიზალიბერალიზაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით, რომელსაც 27-ივე ქვეყნის თანხმობა სჭირდება. უკვე ცნობილია, რომ ამ რადიკალური ზომების მიღებას რამდენიმე ქვეყანა ეწინააღმდეგება და ბრიუსელი ქართველი ხალხის დასჯას ვერ მოახერხებს.**

უნგრეთის საგრეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, მას ბრიუსელიდან მიაწოდეს მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის და სამინისტროების მაღალჩინოსნების დასანქცირების თაობაზე, რასაც უნგრეთი არ დაუშვებს და მას ვეტოს დაადებს. მხოლოდ უნგრეთი არაა ის ქვეყანა, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოსთან დაკავშირებით ევროპარლამენტის და რიგი პოლიტიკოსების მოთხოვნები უსამართლოა. საქართველოს მხარდამჭერ ქვეყნებში მოიაზრებიან, უნგრეთთან ერთად, სლოვაკეთი, ბულგარეთი, იტალია

და ასევე, გერმანიაც. ეს ქვეყნები ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას მხარს არ დაუჭერენ. არიან ასევე სხვა ისეთი ქვეყნები, რომლებიც ყოველდღიურად საქართველოს დასჯის წინააღმდეგ გამოდიან.

ევროკომისიის თანახმად, 16 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე ევროკავშირი საქართველოში განვითარებული მოვლენების საპასუხოდ „დამატებით ზომებზე“ იმსჯელებს.

„თითქმის ორი კვირაა, ქართველი ხალხი იცავს თავის დემოკრატიულ და ევროპულ მისწრაფებებს, აწყდება სასტიკ, უკანონო ძალას პოლიციისგან“, – ვკითხულობთ განცხადებაში, რომელიც 10 დეკემბერს გაავრცელა ევროკომისიის სპიკერმა საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ანიტა ჰიპერმა.

განცხადების მიხედვით, ევროკავშირი გმობს „რეპრესიულ ქმედებებს დემონსტრანტების, მედიის წარმომადგენლებისა და ოპოზიციის ლიდერების მიმართ და მოითხოვს ყველა დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას“.

ანიტა ჰიპერი ადასტურებს, რომ საქართველოს საკითხს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები განიხილავენ 16 დეკემბერს დაგეგმილ მინისტერიალზე და იმსჯელებენ „დამატებით ზომებზე“.




ანიტა ჰიპერი

9 დეკემბერს ამ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმაც.

დემონსტრაციების დარბევაზე ევროკავშირის შესაძლო პასუხებს შორის მან ჩამოთვალა უვიზო რეჟიმის შეჩერება „კონკრეტული კატეგორიის პასპორტებისათვის“; ასევე – პერსონალური სანქციების დაწესება „27-ვე ქვეყნის კონსენსუსის შემთხვევაში“.

თუმცა ამავე დღეს პაველ ჰერჩინსკისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მაკა ბოჭორიშვილის შეხვედრა შედგა. მმართველ გუნდში ამბობენ, რომ ეს იყო პროტოკოლით გათვალისწინებული შეხვედრა, სადაც ელჩმა და მინისტრმა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრეს. ამის შემდეგ კი სოციალურ ქსელში ელჩ ჰერჩინსკის წინააღმდეგ უარყოფითი კამპანია დაიწყო. პლატფორმა X-ზე, ევროკავშირის ელჩს ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ევროპარლამენტარები გამოეხმაურნენ.

„სირცხვილი, თქვენ არ წარმოადგენთ ევროკავშირს“, „მიუღებელია“ – ეს იმ სიტყვებისა და ფრაზების მცირე ჩამონათვალია, რომელიც დიპლომატმა ევროპელი დეპუტატებისგან მიიღო.

ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის წარმომადგენელ პოლიტიკოსებს სოციალური ქსელის დახმარებით უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ. შალვა პაპუაშვილმა დაწერა, რომ ევროპარლამენტარების ნაწილი სუბიექტური ინტერესების მიხედვით მოქმედებს, რაც სახიფათო ტენდენციების გაჩენას უწყობს ხელს. კანონმდებლებმა დღეს, წინასაარჩევნოდ, ოპოზიციის მიტინგებზე მათი ყოფნა და მოწოდებებიც გაიხსენეს.

✦ ✦ ✦

**„ახლახან მივიღეთ შეთავაზება ბრიუსელიდან, რომ ევროპული სანქცია დაუწესდეს საქართველოს შს მინისტრს და პოლიციის მაღალჩინოსნებს. ეს წინადადება აღმაშფოთებელია“, – განაცხადა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიტერ სიიარტომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან მაკა ბოჭორიშვილთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.**



პიტერ სიიარტო

**მისი თქმით, თუ ასეთი წინადადება დადგება, უნგრეთი მას ვეტოს დაადებს.**

**ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე** for.ge-სთან ამბობს, რომ ევროკავშირში ბოლო დროს მიდგომები საქართველოსთან დაკავშირებით შეიცვალა და ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო 20 იანვრის მოახლოებასთან ერთად გახდება. შესაბამისად, მამრაძე გამორიცხავს, რომ საქართველოსთან დაკავშირებით 27-მა ქვეყანამ შეძლოს კონსენსუსი და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სანქციები დააწესონ ან ვიზალიბერალიზაციის გაუქმება მოხდეს.

**„ევროკავშირში რომ უკვე ვითარება სხვა მიმართულებით მიდის, ეს თვალსაჩინოა. ფაქტი კი ისაა, რომ ოპოზიციამ ვერ შეძლო ვერანაირი რეალური მტკიცებულებების წარდგენა არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. ასევე, უკვე საქართველოს ჰყავს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახით რიგი მეგობრები, რომლებიც ამას მხარს არ დაუჭერენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ოპოზიციამ 18 ნოემბერს გაგზავნა წერილი, რომ მომხდარიყო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის სანქციების დაწესება, ვიზალიბერალიზაციის შეჩერება, ეს არ მოხდა. საქართველოს მეგობრები არიან: უნგრეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, იტალია და ასევე გერმანია, რომელმაც მხარი არ დაუჭირა ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას.**

**მაშინ, როცა არჩევნებამდე ეს ნაბიჯები ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა არ გადადგეს, ჩნდება კითხვა, ახლა რატომ უნდა გააკეთონ ეს, როცა ფაქტია, „ოცნებამ“ არჩევნების მოგება დაამტკიცა. ვერ მოხდა გაბათილება ამ შედეგების ვერანაირი მტკიცებულებით. ეს ხომ სიგიჟის და აბსურდის ტირაჟირებაა, რომ „ოცნებას“ მოეხერხებინა 300 ათასი ხმის ისე გაყალბება, რომ ამის დამნახავი ერთი კაციც ვერ იპოვეს, ვინც დაადასტურებდა. ამდენ დამკვირვებელს, რომელიც როგორც ოპოზიციას, ასევე ევროკავშირს ჰყავდა, როგორ გამოეპარათ ამხელა კანონდარღვევა? ეს გაჟონვის ამბავიც საერთოდ დაიკარგა და თუ აკვირდებით, ამაზე ოპოზიცია აღარც აპელირებს. ევროკავშირში არის ხალხი და ქვეყნები, რომლებიც რაციონალურად აზროვნებენ. შესაბამისად, ახლა რატომ უნდა დაუწესონ სანქციები, როცა ამას არანაირი ზეგავლენა არ ექნება?“**, – ამბობს მამრაძე.

მისივე თქმით, 20 იანვრამდე ცდილობს ყველა და ეს გიორგი გახარიას განცხადებიდანაც გამოჩნდა, რომ ოპოზიცია დროის მოგებას ცდილობს. მამრაძის თქმით, ევროკავშირშიც კარგად იციან, რომ ბევრი რამ შეიცვლება. ტრამპის პოლიტიკის გავლენა ევროკავშირზე უკვე იგრძნობა.

**„ვნახეთ, პარიზში ტრამპმა მაკრონი როგორ შეაქო და როგორ ცდილობდა მაკრონიც, რომ მისთვის თავი მოეწონებინა. ერთ დროს, როცა ტრამპს აკრიტიკებდნენ ევროპელი ლიდერები, ისინი ახლა მაქსიმალურად ეცდებიან, მას თავი მოაწონონ. ამიტომ, როცა ჯერ არავინ იცის ტრამპის და მისი ახალი ადმინისტრაციის პოზიცია საქართველოსთან დაკავშირებით, გამოვრიცხავ, რომ 16 და 17 დეკემბერს რაიმე მწვავე გადაწყვეტილება იყოს მიღებული. ერთი, რასაც აპირებდნენ, ეს იყო იმის გამოცხადება, რომ საქართველოსთან მოლაპარაკებებს ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებით აჩერებდნენ. ხელისუფლებამ კი მათ ერთი ნაბიჯით დაასწრო და სწორედ ამიტომ გააკეთა კობახიძემ საქართველოს მხრიდან მოლაპარაკებების ინიციატივის შეჩერებაზე განცხადება. ამით დაასწრო ევროკავშირის იმ ძალებს, რომლებსაც საქართველოს ამ თემით მანიპულაცია და შანტაჟი სურთ. ამიტომ ეს პროცესებიც ჩაცხრება. ოპოზიციას კი, როგორც გახარიამ თქვა, არც პირველ ფაზაში აქვს რაიმე ხელშესახები და არც მეორე ფაზაში ექნება, როცა ტრამპის ინაუგურაცია მოხდება და სრულიად ახალ პოლიტიკურ დღის წესრიგს მივიღებთ თავად ევროპაშიც“**, – ამბობს მამრაძე.



მისივე თქმით, ვიხილეთ ასევე საქართველოში ევროკავშირის ელჩის ჰერჩინსკის შეცვლილი პოზიცია, რომელიც საქართველოს ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს მაკა ბოჭორიშვილს შეხვდა, ამის გამო კი რადიკალურმა ევროპარლამენტის წარმომადგენლებმა ის სასტიკად გალანძღეს. ამიტომ ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ნელ-ნელა ეს წნეხი შემცირდება და ვითარება დალაგდება.

ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**

## ემანუელ მაკრონს საქართველოში შექმნილი ვითარების განმუხტვა სურს!

**საფრანგეთის პრეზიდენტის ინიციატივით, სატელეფონო საუბარი შედგა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილსა და ემანუელ მაკრონს შორის.**

მაკრონმა აღნიშნა, რომ წუხს საქართველოში შექმნილი ვითარების გამო და ამ ვითარების სრულად განმუხტვაში თავისი წვლილის შეტანის სურვილი გამოთქვა. თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილმა საფრანგეთის პრეზიდენტს ინიციატივისათვის მადლობა გადაუხადა და ერთობლივი ძალისხმევის იდეას მიესალმა.




ივანიშვილი და მაკრონი შეთანხმდნენ, რომ მომდევნო დღეებში კვლავ შედგება კონტაქტი და შეფასდება მიღწეული პროგრესი. საუბარი ერთ საათს გაგრძელდა.

## უნგრეთსა და საქართველოს ერთმანეთის იმედი აქვთ!

**უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიტერ სიიარტო ქართველი კოლეგის მაკა ბოჭორიშვილის უნგრეთში ვიზიტს სოციალურ ქსელში ეხმაურება.**

„საქართველოს ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი უნგრეთში. ჩვენ ახლა იმ დროში ვიმყოფებით, როდესაც ჩვენმა ქვეყნებმა მუდმივად უნდა იბრძოლონ თავიანთი სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად უსაფრთხოების უპრეცედენტო გამოწვევების ფონზე. ერთი რამ ცხადია: **შეგვიძლია, ერთმანეთის იმედი გვქონდეს**“, – წერს სიიარტო.

# ეროვნული აკადემიის ახალი შევსება

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

# განცხადება

**2024 წლის 11 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია**

- აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად):

| | |
|---|---|
| სოსიაშვილი გიორგი | (სპეციალობა_ „საქართველოს ისტორია, ეთნოლოგია, არქეოლოგია, ფიზიკური ანთროპოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა“) |

- აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად:

| | |
|---|---|
| 1. აბრალავა ანზორ | (სპეციალობა „ეკონომიკის მართვის კომპიუტერული მოდელები“) |
| 2. ალიბეგაშვილი გიორგი | (სპეციალობა „ძველი ქართული ლიტერატურა“) |
| 3. ამირხანაშვილი კობა | (სპეციალობა „მეტალურგია და მასალათმცოდნეობა“) |
| 4. ბასილაძე გივი | (სპეციალობა „მეცხოველეობა“) |
| 5. ბექაია გურამ | (სპეციალობა „თეორიული მედიცინა“) |
| 6. ბრაჭული ირაკლი | (სპეციალობა „ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია“) |
| 7. მაჭარაშვილი თეიმურაზ | (სპეციალობა „გეოფიზიკა“) |
| 8. მესხი ალექსანდრე | (სპეციალობა „მათემატიკა“) |
| 9. ნადირაძე ელდარ | (სპეციალობა „საქართველოს ისტორია, ეთნოლოგია, არქეოლოგია“) |
| 10. ოკუჯავა მიხეილ | (სპეციალობა „კლინიკური მედიცინა“) |
| 11. სიგუა სოსო | (სპეციალობა „ლიტერატურათმცოდნეობა, კულტუროლოგია“) |
| 12. სხირტლაძე ზაზა | (სპეციალობა „ხელოვნების ისტორია და თეორია“) |
| 13. ტატიშვილი გრიგორ | (სპეციალობა „ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები“) |
| 14. ფიცხელაური შენგელი | (სპეციალობა „სამართალმცოდნეობა“) |
| 15. ქავთარაძე რევაზ | (სპეციალობა „ენერგეტიკა“) |
| 16. ჩიხრაძე ნიკოლოზ | (სპეციალობა „სამთო საქმე“) |
| 17. ხატისაშვილი გია | (სპეციალობა „მცენარეთა ბიოქიმია“) |
| 18. ჯაფოშვილი გიორგი | (სპეციალობა „ზოოლოგია“ |

- აკადემიის სტიპენდიატებად:

| | |
|---|---|
| 1. ბარათაშვილი ზურაბ | (სპეციალობა „ენათმეცნიერება“) |
| 2. გოგიბერიძე ანზორ | (სპეციალობა „მედიცინა“) |
| 3. ვაჩაძე ნიკოლოზ | (სპეციალობა „მედიცინა“) |
| 4. ზაალიშვილი გიორგი | (სპეციალობა „ბიოლოგია“) |
| 5. ზავრადაშვილი ნინო | (სპეციალობა „მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია“) |
| 6. კეკელია ბესიკ | (სპეციალობა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“) |
| 7. ტეფნაძე გიორგი | (სპეციალობა „მათემატიკა“) |
| 8. ქანთარია ბექა | (სპეციალობა „სამართალი“) |
| 9. ქირია თენგიზ | (სპეციალობა „გეოფიზიკა“) |
| 10. ხაჭაპურიძე ჟუჟა | (სპეციალობა „სურსათის უვნებლობა“) |

## ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისთვის გასაგზავნი წერილის მონახაზი და შედარებით ვრცელი შესავალი



# ოკეანედალეული ქართველი პუბლიცისტის აწონილი სიტყვა

**ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ დასავლეთის ქვეყნებმა ამერიკა–ინგლის–საფრანგეთ-გერმანიით დაწყებული და წიკვინა ბალტიისპირა სახელმწიფოებით დამთავრებული, ყველამ ერთი ციცქნა საქართველოსთვის მოიცალა და ყოველგვარი დიპლომატიური მორიდების გარეშე პირდაპირ გამოგვიცხადა: თუკი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კვლავ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და, არა ჩვენ მიერ ოპოზიციად ცნობილი კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, რაც არ უნდა გამჭვირვალედ და სანიმუშოდ ჩაატაროთ იგი, ლეგიტიმურად მაინც არ ვცნობთ და პრობლემებს შეგიქმნით, ანუ ყველაფერზე წამსვლელები ვართო!**

ასეც მოხდა – რაც დღეს, ანუ ორ კვირაზე მეტია რუსთაველის პროსპექტზე ხდება და, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, როგორადაც ის შუქდება ჩვენს „პარტნიორებად“ წოდებულ სახელმწიფოებში, ამის დასტურია! პარლამენტის შენობისთვის და მშვიდად მდგომი სპეცრაზმელებისთვის დამიზნებით, ტყვიამფრქვევივით ნასროლი პიროტექნიკის ჯერი, „მოლოტოვის კოქტეილები“, პარლამენტის ჩამსხვრეული ფანჯრები და ოთახებში გაჩენილი ხანძარი, აყრილი ქვაფენილის ქვების სროლა და, ამასთან ერთად, უშვერი სიტყვებით სპეცრაზმელების ლანძღვა–გინება, მათ ცხვირწინ ზეაღმართული შუა თითის ტრიალი, მათთვის „მონების“ და „რუსების“ ძახილი, სკამებით, ბანერებით, ნაგვის ბუნკერებით, მორღვეული რკინის მოაჯირით, მოჭრილი ხეებით და სხვა ინფრასტრუქტურული საგნებით ჩახერგილი პროსპექტი და ცეცხლწაკიდებული ბარიკადები, კამერით ხელში მყოფი ოპერატორისთვის დამიზნებით პიროტექნიკის სროლა – აი, არასრული ჩამონათვალი იმ უმსგავსოებისა, რომლის მსგავსი არეულობა თბილისის მთავარ პროსპექტზე არასოდეს არ ყოფილა და, რომელიც უსირცხვილოდ საღდება, როგორც „ბავშვების“ „უაღრესად მშვიდობიანი“ მსვლელობა–მიტინგი! საღდება, რა თქმა უნდა, პროტესტანტების აღმჭურველ–დამფინანსებელი (ასეულათასობით ლარის ღირებულების პიროტექნიკით, აირწინაღებით, ჩაფხუტებით, საღებავებით, ხელკეტებით, ნიღბებით და სხვა ნივთებით), ამ არეულობების მომწყობ–მაორგანიზებელი ნაცპარტიების და მათი კუთვნილი სამი ტელევიზიის მიერ! ყველას ავიწყდება – თითქმის, არ ახსენებენ ათასობით მშვიდობიან მოქალაქეებს (მოხუცებს, ბავშვებს, ავადმყოფებს), რომლებიც რუსთაველის პროსპექტზე და მის შემოგარენ ქუჩებზე ცხოვრობენ და, რომლებსაც ერთი წუთითაც კი ვერ მოუხუჭავთ თვალი!

გაგრძელება მე-7 გვ.

## Time-მა ტრამპი წლის ადამიანად აღიარა




**ჟურნალმა ტრამპის გამოსახულებით გარეკანის მქონე სპეციალურ ნომერი გამოუშვა, სადაც მისი ვრცელი ინტერვიუ არის დაბეჭდილი.**

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ტრამპის პოლიტიკურ აღმავლობას ამერიკის ისტორიაში ანალოგი არ აქვს. მისი პრეზიდენტობის პირველი ვადა კრახით დასრულდა.

მას 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმება სურდა, თუმცა საბოლოოდ ეს მცდელობა აშშ-ის კაპიტოლიუმზე თავდასხმაში გადაიზარდა.

2022 წლის ბოლოს, როცა ტრამპმა განაცხადა, რომ მეორედ იყრის კენჭს პრეზიდენტის პოსტზე, მის წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. მისი მრავალი თანაგუნდელი მას განუდგა...

# ღმერთო, გევედრები, შეაყვარე ქართველს ქართველი და ორივეს – საქართველო!

**ის, რაც დღეს საქართველოში ხდება პოლიტიკურ ველზე, ნამდვილად წარმოუდგენელია და აუტანელია ნორმალური ადამიანებისთვის. ფაქტი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ რადიკალურმა ოპოზიციამ მოუწყო ქართველ ხალხს, სასაცილო კი არა, სატირალია. როგორ არ გინდა, დაიჯერო, რომ ოპოზიციური პარტიები არჩევნებში დამარცხების შემდეგ მსოფლიოს გასაგონად პეტიციებს დაწერდნენ – ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარაო. ქვეყნის დისკრედიტაციის მიზნით მომზადებული წერილი ბრიუსელში ქალბატონმა თინა ბოკუჩავამ ჩაიტანა, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ აცხადებდა, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რათა ამ ხელისუფლებამ ვერ შეძლოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებაო!**

ევროპარლამენტში ჩატანილ პასკვილს კი ნამდვილად ქვეყნის მტრების და ჯაშუშების მეტი სხვა არავინ იკადრებდა. რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლების ქვეყნის საზიანოდ გადადგმული ნაბიჯი კი ბევრმა სერგო ორჯონიკიძის, შადიმან ბარათაშვილის, ყორღანაშვილის ქმედებად შეაფასა, ანდა უკეთეს ნაბიჯს მოველოდით რადიკალური ოპოზიციისგან!?. ასე იყო საუკუნეების მანძილზე, ასე იყო წინა საპარლამენტო არჩევნების დროსაც, ან რომელი არჩევნები ჩატარდა 2012 წლიდან დღემდე, ოპოზიციის პრეტენზიების გარეშე – არცერთი?! იგივე წრეზე ტრიალებს ოპოზიცია, თბილ სკამს, დიდ შემოსავალს და თანამდებობას ვერ თმობს.

არჩევნების შემდეგ კატეგორიულად აცხადებენ, ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარა, თუ საერთაშორისო მასშტაბის დონეზე მომზადებული და ჩატარებული არჩევნები არ გაიმართება, პარლამენტში არ შევალთო.

ხელისუფლებამ გარკვევით განმარტა, მსოფლიო პრაქტიკაში ჯერ არ არსებობს შემთხვევა, რომ ქვეყნის საპარლამენტო არჩევნები საზღვარგარეთის ქვეყნებს ჩაეტარებინოს, ეს ხომ სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას ნიშნავს, ამის გაგება და მოსმენა რადიკალურ ოპოზიციას არ სურს.

ევროპარლამენტარი, ქალბატონი რაით ნეველალოვა აცხადებს – არცერთ საერთაშორისო დამკვირვებელს არ დაუყენებია ეჭვქვეშ არჩევნების შედეგები და არჩევნების ლეგიტიმურობაზე არავინ დავობს.

**ვერ ვხედავ ვერანაირ საფუძველს, თუ რატომ უნდა ჩატარდეს რაიმე სახის გამოძიება ან არჩევნები.**

1200000 ამომრჩეველმა ,,ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა, თვით ოპოზიციის წარმომადგენლები ამაყობენ, 5-პროცენტიანი ბარიერი ოთხმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ გადალახაო.

ხაზარაძის პარტიის წარმომადგენელი თავმომწონედ აცხადებს – ,,ლელოს“ მხარი დაუჭირა 182839 ამომრჩეველმა და ჩვენ ამ ხმებს დავიცავთო, ასევე თავი მოაქვთ ,,ნაციონალურ მოძრაობას“, ,,კოალიცია ცვლილებებისათვის“ და ,,გახარია საქართველოსათვის“, რომლებიც ამაყობენ ამომრჩეველთა მიერ მიღებული ხმებით, სამაგიეროდ, ვერცერთი ოპოზიციური პარტია კონკრეტულად ვერ ასახელებს არჩევნების გაყალბების ფაქტებს. არცერთ პარტიას საგამომძიებო ორგანოებში არ წარუდგენია ერთი დარღვევის ფაქტიც **კი, მაშ, რას ჩივიან, რას ითხოვენ?** ხელისუფლება რადიკალურ ოპოზიციას, მათ აბსურდულ მოთხოვნებს და კაპრიზებს არ უნდა აჰყვეს.

76 საერთაშორისო ორგანიზაციის 2800-ზე მეტი აკრედიტებული და ეუთო-ოდირის დამკვირვებლები ერთხმად აცხადებენ არჩევნების ობიექტურად და სამართლიანად ჩატარებას.

**პარლამენტარი არჩილ გორდულაძე აცხადებს – რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები ჩვეულებრივი ჯაშუშები არიან, ისტორია შეაფასებს მათ ნამოქმედარს.**

ევროპარლამენტის დეპუტატების ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ **,,ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში პატიოსნად გაიმარჯვა, პატივი ეცით ამ ფაქტს, საქართველოს უფლება აქვს საკუთარი დემოკრატიული გზა აირჩიოს.**

,,ქართული ოცნების“ წევრი, ქალბატონი **მაია ლაშხი აცხადებს, ერთიანი ნაცმოძრაობა შავ ლაქად აზის ქვეყანას! მათი მიზანია, საქართველოს ჩამოქცევა, ამაზე მიუთითებს ის მოღალატეობრივი და ჯაშუშური ქმედება იმ წერილის სახით, რომელიც ევროსაბჭოს გაუგზავნეს.**

ნაცმოძრაობას პოლიტიკური განაჩენი უნდა გამოუტანოს ხელისუფლებამ, ეს ის დესტრუქციული ძალაა, რომელიც ფარულად აგზავნის წერილებს უცხო ქვეყნებში და სამშობლოს, ხალხის, საკუთარი ამომრჩევლის დასჯას ითხოვს. სამწუხაროა და მეტად დამაფიქრებელი, პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელისუფლების სათავეში იყო 10 წლის მანძილზე მრავალი უსამართლობა ჩაიდინა და ერთხელაც არ მოუხდია საზოგადოებისთვის ბოდიში, ახლა „ქართულ ოცნებას“ ედავება არჩევნების გაყალბებას.

**როგორც ჩანს, ოპოზიციის სალოცავი ბრიუსელია, ხოლო ქართველი ხალხის უმრავლესობისათვის სალოცავია ქრისტიანული ეკლესია. იმათი ზნეობრივი სახე, რამდენჯერმე გათხოვილი კაცი მიხაილ როთია, ჩვენი კი სულიერი მოძღვარი და მართლმადიდებელი წინამძღოლი, 91 წლის პატრიარქი ილია მეორე. როდესაც უსამშობლო აგენტები ქვეყნის მთავარ მტრად გვყავს, მაკედონელსაც გაუჭირდებოდა გამარჯვება.**

საინტერესოა, როგორი სამშობლოს სიყვარულით ზრდიან შვილებს თვითონ უსამშობლოები, ნუთუ არ ფიქრობენ, როგორ შეაფასებს შთამომავლობა მათ საქციელს.

იმის ნაცვლად, რომ ოპოზიციური პარტიები პარლამენტის მუშაობაში ჩაერთონ და კონსტრუქციული წინადადებებით თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარების საქმეში, უარს აცხადებენ საპარლამენტო მუშაობაზე და აქციების მოწყობით და ლანძღვა-გინებით ირთობენ თავს.

**დადგა დრო, ,,ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო დაპირება შეასრულოს და რადიკალურ ოპოზიციას და კრიმინალურ**

**ნაცმოძრაობას პოლიტიკური განაჩენი უნდა გამოუტანოს ხელისუფლებამ, ეს ის დესტრუქციული ძალაა, რომელიც ფარულად აგზავნის წერილებს უცხო ქვეყნებში და სამშობლოს, ხალხის, საკუთარი ამომრჩევლის დასჯას ითხოვს. სამწუხაროა და მეტად დამაფიქრებელი, პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელისუფლების სათავეში იყო 10 წლის მანძილზე, მრავალი უსამართლობა ჩაიდინა და ერთხელაც არ მოუხდია საზოგადოებისთვის ბოდიში, ახლა ,,ქართულ ოცნებას“ ედავება არჩევნების გაყალბებას.**

**პარტიებს საქმიანობა აუკრძალოს, ის, რაც დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდება, საზოგადოებისგან დასაგმობია.**

**დადგა დრო, ხელისუფლებამ იზრუნოს ქვეყნის დამშვიდების და მშვიდობიანი განვითარებისათვის.**

## თემის გაგრძელება

**წინამდებარე** წერილის შემდეგ აღარ ვაპირებდი რადიკალური ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე მკითხველთა ყურადღების გამახვილებას, მაგრამ ის, რაც 28-29-30 ნოემბრის და 1-2-3-4-5-6-7 დეკემბრის ღამეს ვიხილეთ ტელეეკრანებზე, თბილისის ცენტრში, პარლამენტის წინ, **,,მშვიდობიან აქციაზე“**, უფლება არ მაქვს, არ გამოვეხმაურო.

დღეს აქციებით და მიტინგებით ვერავის გავაკვირვებთ, ამ ოცდაათი წლის მანძილზე მეტი რა ჩაგვიტარებია. იმდენი ენერგია, ჯაფა და სულისკვეთება, რომლებიც იმ აქცია-მიტინგებზე დაიხარჯა, ჩვენი ბედკრული ქვეყნის აღორძინებისათვის რომ მოგვეხმარა, ჩვენზე ბედნიერი მეორე ერი არ იქნებოდა მსოფლიოში.

ისტორიიდან გვახსოვს, მონღოლთა ურდოში ჩადიოდნენ ქართველები, რომლებიც ნოინებთან და ჩინგის-ხანებთან პასკვილები ჩაჰქონდათ ქართველი მეფეების ,,საძრახის საქციელზე“, – მე დამნიშნე და შენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნებიო, ასე სამარცხვინო საქციელით მარტო მონღოლეთში კი არა, სპარსეთში, ოსმალეთში, რუსეთში და სხვაგანაც ჩადიოდნენ. ახლა ბრიუსელი და ამერიკის კონტინენტია დღის წესრიგში. ისტორიამ არაფერი გვასწავლა. ერთ წრეზე ვბრუნავთ, ამიტომ იყო, ერის დიდმა შვილმა და ცნობილმა მწერალმა **ჭაბუა ამირეჯიბმა,** როგორც კი ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქართველ ოპოზიციონერებს შეახსენა **,,ფრთხილად ქართველებო, ობოლი ერი ვართო“!**

ვინ დაუჯერა სულმნათ მწერალს. დღე არ გავიდოდა, აქცია და მიტინგი არ ჩატარებულიყო თბილისის ცენტრში. სწორედ 90-იან წლებში გადაიბუგა დღევანდელი პარლამენტის შენობა, თბილისის N1 სკოლა და ბევრი სხვა ისტორიული ნაგებობა. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ. მას შემდეგ ძალიან ბევრი ხელისუფალი გამოვიცვალეთ, მაგრამ საქართველოს მშვიდობიანი განვითარება ვერ მოხერხდა. თბილისის ომის შემდეგ აფხაზეთი და ცხინვალიც დავკარგეთ, სამი პრეზიდენტი და მთავრობა ხან შეიარაღებული გამოსვლებით, ხან ,,ვარდების“ რევოლუციით დავამხეთ და ქვეყნის დაწყნარებას საშველი არ დაადგა. ყოველი წლის გაზაფხული და შემოდგომა ,,მშვიდობიანი“ აქციებით იწყება და ორი-სამი თვე გრძელდება. ერთი სიტყვით, ქართველებს აქციების გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია. ახლაც ასეა.

თუ როგორი „უსტარი“ მიართვა ევროსაბჭოს ემისრებს ქალბატონმა თინა ბოკუჩავამ, ზემოთ გამოქვეყნებულ წერილში უკვე მოგახსენეთ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების საფუძველი ,,ქართულმა ოცნებამ“





**ოპოზიციის სალოცავი ბრიუსელია, ხოლო ქართველი ხალხის უმრავლესობისათვის სალოცავია ქრისტიანული ეკლესია, მათი ზნეობრივი სახე, რამდენჯერმე გათხოვილი კაცი მიხაილ როთია, ჩვენი კი - სულიერი მოძღვარი და მართლმადიდებელი წინამძღოლი, 91 წლის პატრიარქი ილია მეორე.**

დაუდო და განვლილ 12 წელიწადში ბევრსაც მიაღწია. მსოფლიოს ბევრ ქვეყანას გავუსწარით, მაგრამ რადიკალური ოპოზიცია მაინც ,,მტკიცედ“ და შეურყვნელად ებრძვის ,,ქართულ ოცნებას“, ითხოვს არჩევნების ხელახლა ჩატარებას, ქვეყნის ხელისუფლების დისკრედიტაციას, აგერ სულ ახლახან, ნოემბრის ბოლოს, „მშვიდობიანი აქცია“ დააანონსეს და 28 ნოემბრიდან მოყოლებული ყოველ საღამოს შიშით მივჩერებივართ ტელევიზორებს.

### ისით, ვინ არიან ამ აქციის სულისჩამდგმელები და მონაწილეები?

**მოდით**, ჯერ ,,მშვიდობიანი აქციის“ მონაწილეებზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. რუსთაველზე, ყოველ საღამოს რამდენიმე ასობით ახალგაზრდა უპირისპირდება პოლიციას, სპეცნაზს. პარლამენტის წინ დაწყებული აქცია იწყება ქვების, რკინის ნაჭრების, შუშის ბოთლების სროლით, სითხეების და საღებავების საშუალებით კედლებზე უხამსი წარწერებით. ყველაფერი აქვთ მომარაგებული. ერთი სიტყვით, აქციებმა მიიღო კანონსაწინააღმდეგო ხასიათი. რამდენიმე ქუჩაზე დადგეს კარვების სოფელი, მოიმარაგეს ხელკეტები, დროშები. პირველ დღეს 32 პოლიციელი და სპეცნაზელი დაშავდა. დაზიანდნენ ჟურნალისტები. აქციის მონაწილეები თბილისის ცენტრში ანგრევენ და ამტვრევენ, რაც ხელში ხვდებათ და ქუჩებში ქმნიან ე.წ. „ბარიკადებს“, მათზე არ მოქმედებს არც ცივი წყლით ,,გაგრილება“ და არც მომწამვლავი სპრეის შესხმა).

**ახალგაზრდების ეს კარდინალური დამოკიდებულება გრძელდება თითქმის 10 დღის მანძილზე. პოლიცია და სპეცნაზი ყოველმხრივ ცდილობს, არ გამოიყენოს შესაბამისი ძალა და საშუალებები, ვანდალური ფაქტების აღსაკვეთად.**

„მშვიდობიან აქციაზე“ ამ ათი დღის მანძილზე ერთი პიროვნებაც არ გამოსულა სიტყვით. მაშ, როგორი ,,მშვიდობიანია“ ეს აქცია?!

ყველაზე მთავარი და შემაძრწუნებელია ის, რომ ამ ვანდალურ ფაქტებს არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი არ გამოხმაურებია, თითქოს ეს ქვეყანა მარტო ,,ქართული ოცნების“ საპატრონოა და მათ აკრძალული აქვთ ქვეყნის ინტერესების დაცვა.

ვანდალური „მშვიდობიანი აქციის“ მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, ძირითადად უფროსკლასელი მოსწავლეები, სტუდენტები და ა.შ. ყველაზე აღმაშფოთებელი კი მაინც ისაა, რომ ამ ახალგაზრდების გვერდზე დგანან მცირეწლოვანი 10-12 წლის მოზარდები, რომელთა თვალწინ ამზადებენ ,,მოლოტოვის კოქტეილის“ ნაზავს და ბოთლებს სასროლად მათ აძლევენ.

ვინ ზრუნავს ამ „მშვიდობიანი“ აქციის ჩატარებისათვის, ვინ აფინანსებს ვანდალიზმის ფაქტების მოსაწყობად ამ ახალგაზრდებს? (ალბათ გამოგიცდიათ, 10-15-კაციანი ღონისძიება რომ ჩაატაროთ, უამრავი პრობლემა და ფინანსებია საჭირო) 500 თუ 5-ათასიანი აქციის ჩატარებას ყოველდღიურად ათასობით ლარი ესაჭიროება (მიკროფონები, დროშები, გამომსვლელები და ა.შ.). ახალგაზრდა აქტივისტების მომზადება და აქციაზე გამოყენება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

ამ მძიმე დღეებში არცერთი რადიკალური ოპოზიციის ლიდერი აქციაზე არ გამოჩენილა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სპონტანურად შეიკრიბნენ ეს ახალგაზრდები და წინ აღუდგნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რაც დაუჯერებელია. გახსოვთ, ამ ზაფხულს, ბაკურიანის სასტუმროში ამერიკელი სპეციალისტი ტრენინგზე ლექციებს რომ უკითხავდა ახალგაზრდებს. ასეთივე შეხვედრა სასტუმრო „მზეთამზეში“ გაიმართა, სხვაგანაც. აი, ასე ამზადებენ ახალგაზრდებს „სამშობლოს სიყვარულის“ ლოზუნგით და ქვეყნის ასარევად, რადგან უფროსები ვერ აიყოლიეს, ახალგაზრდებს გადაუბრუნეს გონება...

**P. S. სულმნათი ვაჟა-ფშაველას ნათქვამი სტრიქონები მახსენდება – „ღმერთო, გევედრები, შეაყვარე ქართველს ქართველი და ორივეს – საქართველო!“**

**იქნებ ამჯერად გადმოგვხედოს უფალმა და ეს ნატვრა აგვისრულოს.**

**ვალერიან ლომიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# „მისტერ ოფშორი“ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას აფინანსებს!



## ხოშტარიას და კეზერაშვილის რუბლს სუნი არ ასდის?!

**„მისტერ ოფშორი“, ანუ საერთაშორისო კრიმინალი დავით კეზერაშვილი, რამდენიმე გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმით, კრიმინალურ სფეროში საპატიო ადგილს იკავებს. ერთ-ერთი გახმაურებული საქმე არის ქართული ჯარის ძარცვა, იმ ჯარის, რომელიც 2008 წელს რუსეთის რეგულარული არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. ამ სკანდალურ საქმეზე არსებობს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს, რომ კეზერაშვილმა გაძარცვა საქართველოს შეიარაღებული ძალები.**

საერთაშორისო კრიმინალმა საქართველო 2012 წელს დატოვა და თავი დიდ ბრიტანეთს შეაფარა, როგორც პოლიტიკურმა დევნილმა. თუ გავითვალისწინებთ კეზერაშვილის საერთაშორისო პარტნიორებს, რა თქმა უნდა, მან მარტივად მიიღო პოლიტიკური დევნილის სტატუსიც და დაიწყო ევროპელი პენსიონერების ძარცვა ე.წ. ქოლცენტრების მეშვეობით. პარალელურად, გამოჩნდა ქართულ პოლიტიკურ ველზე და დაარსა „დამოუკიდებელი“ ტელეკომპანია „ფორმულა“, რომელიც რეალურად არის პროგანადისტული არხი. შემდეგ მიადგა „ნაციონალურ მოძრაობას“, რომლის წევრები მას ღია ეთერში კრიმინალად მოიხსენიებდნენ, ერთგვარად, შური იძია – პარტიის თავმჯდომარე ნიკა მელია, რომელიც მას კრიმინალს უწოდებდა, ჩაანაცვლა ლევან ხაბეიშვილით, რომელიც ასევე კრიმინალად მოიხსენიებდა და ამით საააკაშვილს მიანიშნა, რომ მას შეუძლია პარტია ჩამოშალოს, რაც გააკეთა კიდეც.

**სანამ კეზერაშვილი ნაცმოძარაობის დაშლა-არდაშლით იყო დაკავებული და პარალელურად, ნაცმოძრაობის წევრების მეშვეობით თბილისში ქმნიდა ე.წ. ქოლცენტრებს, ბრიტანეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 46-წუთიანი გამოძიება დადო და თქვა, რომ საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი მილიარდიანი თაღლითობის სქემის ცენტრალური ფიგურაა.**

**როგორც BBC-ის გამოძიებამ თქვა, თბილისის ხუთვარსკვლავიან ბიზნესცენტრში გახსნილი ოფისიდან, ბრიტანეთის 5 ათას მოქალაქეზე გავიდნენ, ჩამონათვალშია სკანდინავიისა და გერმანიის პენსიონერებიც. ფილმში გამოყენებულია გერმანელი პროკურორის ინტერვიუ, რომელიც ამბობს, რომ მსხვერპლი ძალიან ბევრია, მათ შორის გერმანიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან.**

ამ სკანდალური გამოძიების გამოქვეყნებიდან უკვე მეორე დღეს კეზერაშვილმა ბრიტანეთი ოჯახთან ერთად დატოვა და შემდეგი თავშესაფარი საბერძნეთში იპოვა, სადაც ამ დრომდე რჩება. აგრძელებს ევროპელი პენსიონერების ძარცვას, ამ ფულით აფინანსებს „ფორმულას“ და სახელმწიფო გადატრიალებას, რადგან, მათი ლოგიკით, საქართველო იმართება რუსეთიდან და რუსული ფულით.

✦ ✦ ✦

**საყოველთაოდ** ცნობილია ელენე ხოშტარიას და რუსული ფულის ისტორია და ასევე, რუსულ ფულზე უარს არ ამბობს კეზერაშვილი. რუსეთის „ეფ-ეს-ბე“-მ მოსკოვში თაღლითური სატელეფონო ქოლ-ცენტრების საერთაშორისო ქსელი დახურა, რომელიც საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის, Milton Group-ის დამფუძნებლის დავით კეზერაშვილის ინტერესებით მუშაობდა და 50-ზე მეტ ქვეყანაში დაახლოებით 100 ათასი ადამიანი დააზარალა.

უწყების მტკიცებით, ქოლ-ცენტრები იყო საერთაშორისო ორგანიზებული კრიმინალური საზოგადოების ნაწილი, რომელიც საინვესტიციო ტრანზაქციების საფარქვეშ ახორციელებდა მასობრივ თაღლითობას ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ბრაზილიის, ინდოეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიმართ.

„მათი უკანონო საქმიანობის მსხვერპლი 50-ზე მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები დაახლოებით 100 ათასი ადამიანი გახდა. უკანონო ქმედებებიდან მიღებული შემოსავალი დღეში მილიონ დოლარს აღწევდა“, – აღნიშნულია რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ინფორმაციაში.

**BBC-ს სკანდალური გამოძიების გამოქვეყნებიდან უკვე მეორე დღეს კეზერაშვილმა ბრიტანეთი ოჯახთან ერთად დატოვა და შემდეგი თავშესაფარი საბერძნეთში იპოვა, სადაც ამ დრომდე რჩება. აგრძელებს ევროპელი პენსიონერების ძარცვას, ამ ფულით აფინანსებს ,,ფორმულას“ და სახელმწიფო გადატრიალებას, რადგან, მათი ლოგიკით, საქართველო იმართება რუსეთიდან და რუსული ფულით.**

უწყების ცნობით, ოპერატიული სამძებრო სამუშაოების შედეგად გამოვლინდა რუსეთში მოქმედი ქოლ-ცენტრების ხელმძღვანელები. ესენი იყვნენ: ისრაელისა და უკრაინის ორმაგი მოქალაქეობის მქონე კესელმანი, ასევე ისრაელისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქე ტოდვა. კესელმანი დაკავებულია, ხოლო ტოდვაზე ძებნაა გამოცხადებული. რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა, საერთო ჯამში, კეზერაშვილის რუსული ქოლ-ცენტრის ოფისების 11 ხელმძღვანელი და თანამშრომელი დააკავა.

„მისტერ ოფშორს“ რუსული რუბლების მისაღებად გზა ჩაეკეტა. კეზერაშვილმა კარგად იცის, რას ნიშნავს, როცა „ეფ-ეს-ბე“ დანაშაულის კვალზე გადის. ეს ნიშნავს, რომ კეზერაშვილის გარშემო ვიწროვდება უსაფრთხო გარემო. რასაკვირველია, იგი ამ საქმეს არ იმჩნევს და საპასუხოდ სოციალურ ქსელში წერს, რომ BBC-მ სასამართლო დავის შედეგად, თავისი პლატფორმებიდან ე.წ. საგამოძიებო სიუჟეტები და სტატიები გაიხმო, რითაც, მისი თქმით, დადასტურდა, რომ ბრალდებები წარმოადგენდა უმძიმეს ცილისწამებას. კეზერაშვილი ამბობს, რომ ტელეკომპანია BBC-ის სასამართლო დავა მოუგო.

**„ქართული ოცნების“ ყველა მსგავსი კამპანია სასამართლოებმა ან ადამიანის უფლების უხეშ დარღვევად (2024 წლის ე.წ. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება) ან პოლიტიკურ დევნად შეაფასეს (საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სასამართლოების გადაწყვეტილებები). მადლობა მინდა, გადავუხადო იურიდიულ გუნდს, რომელმაც ბევრი იშრომა, რათა ჩემი სიმართლე დამტკიცებულიყო“,** – წერს დავით კეზერაშვილი.

კეზერაშვილის განცხადებაზე ამ დრომდე რეაგირება არ გაუკეთებია BBC-ის, რომელმაც ქოლცენტრების თაღლითურ სქემაზე ფილმი 2023 წლის აპრილში გამოაქვეყნა.

✦ ✦ ✦

**ექსპერტი** უსაფრთხოების საკითხებში დავით კუხალაშვილი აცხადებს, რომ ეს არის მხოლოდ დადასტურება იმისა, რომ რეალურად, კრიმინალურ ორგანიზებას ამ მიმართულებით ფარგლები არ აქვს და შესაბამისად, რუსეთში, უცხო კომპანიის საფარქვეშ ხდებოდა ამ ორგანიზაციული ჯგუფის საქმიანობა.

„ვფიქრობ,ეს იქნება დამატებითი მტკიცებულება კეზერაშვილის მიმართ საქართველოში აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და არა მარტო საქართველოში. აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ფულით კეზერაშვილი აფინანსებს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას, რაც სამწუხარო რეალობაა“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დავით კუხალაშვილი.

**მოამზადა**
**თამთა ქარჩავამ**

# პოლიტიკური პატიმრის ბესო ხვინთელიანის სიმართლე



**ბატონო რედაქტორო!**

**მინდა, მცირე მოგონებით გამოვეხმაურო თქვენს მშვენიერ წერილს ცნობილი მეცნიერისა და მეცენატის ბესარიონ ხვინთელიანის შესახებ, საქმე ეხება 12 წლის წინანდელ ისტორიას, როცა იგი უკვე მესამე წელს იხდიდა „სააკაშვილის ციხეში“.**

მას 8 წელი ჰქონდა მისჯილი „თაღლითობისათვის“ და რომ არა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, ბატონ ბესოს მთლიანად მოახდევინებდნენ სასჯელს.

ბესარიონ ხვინთელიანს არც ადრე ვიცნობდი და არც ახლა ვიცნობ. როგორც მერე გავიგე, იგი ჯერ კიდევ 2005 წელს მოუწვევია სააკაშვილის ხელისუფლებას საქართველოში რუსეთიდან, კერძოდ მოსკოვიდან, სადაც ის წარმატებული მეცნიერი და ბიზნესმენი იყო და მისთვის შეუთავაზებიათ ელჩის თუ რუსეთში ჩვენი წარმომადგენლის თანამდებობა, ამბობენ, იყო მოსაზრება მისი პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებაცო.

როცა ჩამოვიდა ბატონი ბესარიონი საქართველოში და მოგვიანებით გაეცნო რეალურ ვითარებას, დაიწყო თანამშრომლობა ოპოზიციასთან და ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წევრიც გახდა. თურმე, ის მონაწილეობდა ჰააგის სასამართლოში „საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ“ შეტანილი სარჩელის ეკონომიკური ნაწილის შედგენაში, რაც კონფიდენციალურად გაკეთდა, მაგრამ ინფორმაციამ გაჟონა, რაც ბესარიონ ხვინთელიანზე ხელისუფლების შურისძიების საფუძველი გახდა. 2009 წელს მას „შეუთითხნეს“ ბრალდება ვინმე იზოლდა კლაუს მიერ შსს-ს თბილისის საქალაქო სამმართველოში შეტანილი საჩივრის საფუძველზე, თითქოს ხვინთელიანმა „თაღლითური“ გზით მისი თანხები მიითვისა.



საინტერესოა მისი დაპატიმრების მომენტი. როგორც გახსოვთ, სააკაშვილის „ზეობის“ დროს რომელიმე ცნობილი პიროვნების დაპატიმრების დროს სატელევიზიო „შოუ“ იდგმებოდა. ასე მოხდა ბესარიონ ხვინთელიანის შემთხვევაშიც. სასტუმრო „რედისონის“ საკონფერენციო დარბაზში უცხოელებთან 500-მილიონიანი ბიზნეს-პროექტის მემორანდუმის ხელმოწერის პრეზენტაციის დროს, თავად ბესარიონ ხვინთელიანის, ანუ მთავარ „სამიზნეს“, ამ პროექტზე ერთ-ერთ ხელმომწერს, პრეზენტაციაზე მისვლა ოდნავ შეაგვიანდა და თოფურიძის „სპეცნაზელებმა“ ჩართული სატელევიზიო კამერების წინ ბორკილები ბესოს ძმას დაადეს. დაკავების პროცესი კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩამდენი ტერორისტის დაკავების ტოლფასი ხმაურით წარიმართა, რითაც პრეზენტაციაზე მყოფი უცხოელებიც შოკში ჩააგდეს.

იმ „ავბედით“ საღამოზე, როცა სასტუმრო „რედისონში“ პრეზენტაციაში ბესარიონ ხვინთელიანის ძმა დააკავეს, ბესოს ჰქონდა საშუალება, გარიდებოდა ამ „გაუგებრობას“, რაც იმ წუთში ყველას ეგონა, რომ ასე მოხდებოდა. ბესომ ამ თემაზე საუბარიც კი შეურაცხყოფად მიიღო, ღირსეულად მოიქცა, ღიმილით მივიდა ძმასთან, მისთვის ხელბორკილები შეახსნევინა და თვითონ გააკეთებინა და როცა „შეცდომა“ გამოსწორდა, ღიმილით მოიხედა და მასპინძლებს უთხრა: „სტუმრებს მიხედეთო“. დამეთანხმებით, ეს ფაქტი მის კეთილშობილებასა და დიდსულოვნებაზე მეტყველებს.

სასამართლო პროცესი ისე წარიმართა, რომ საბოლოო განაჩენით მას მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა „თაღლითობის“ მუხლით. მანამდე მას წაართვეს დაახლოებით 40 მილიონი დოლარის ღირებულების ქონება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე ბესარიონ ხვინთელიანს არ ვიცნობდი. მის შესახებ მიამბო ჩემმა ადვოკატმა ლევან ჭიღლაძემ, რომელიც იცავდა ბესარიონთან ერთად საკანში მჯდომ, ასევე „თაღლითობაში“ ბრალდებულ ნუგზარ დათუკიშვილს (ეროვნებით ებრაელს). სხვათაშორის, ეს პატიმარი ადვოკატმა ჭიღლაძემ გამოიყვანა ციხიდან, მაგრამ ისე გარდაიცვალა (გათავისუფლებიდან მე-5 წელს) 2020 წელს, რომ ადვოკატს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ გადაუხადა, შესაბამისად, ეს ადვოკატი „ხელმოცარული“ დარჩა.

სხვანაირად მოქცეულა ბესარიონ ხვინთელიანი. როგორც გავიგე, მისი ადვოკატები იყვნენ შალვა ხაჭაპურიძე და ნინო რევაზიშვილი, რომელთაც რამდენიმე ათეული ათასი დოლარი ჰონორარის სახით წინასწარ გადაუხადა (თანხის ზუსტი რაოდენობა არ ვიცი, დამატებით ხვინთელიანმა შალვა ხაჭაპურიძეს უყიდა ფეშენებელური საცხოვრებელი ბინა თუ სახლი საბურთალოზე). მე არ ვიცი, როგორ იცავდნენ ეს ადვოკატები მათი დაცვის ქვეშ მყოფს, მაგრამ ფაქტი იყო, მეოთხე წელი იხდიდა სასჯელს ციხის საკანში, სადაც მას შეერყა ჯანმრთელობა და მას უკვე ჰქონდა სერიოზული ნევროზული პრობლემები.

✦ ✦ ✦

შემთხვევა, როცა მე ჩემი ნების გარეშე ჩავერთე ამ საქმეში, ასეთი იყო: 2012 წლის გაზაფხულია, ხელისუფლებაში ახალი მოსულია „ქართული ოცნება“. პარლამენტის სესია უნდა გაიხსნას ქუთაისში. დღის წესრიგში ძირითად საკითხად შეტანილია პოლიტპატიმართა ამნისტიის შესახებ. ღამის 11 საათია. თბილისში მამაჩემის აშენებულ ძველ სახლში „ვცხოვრობ“. კარზე კაკუნია, ვაღებ, შემოდიან (ბოდიშის მოხდით) ჩემი ადვოკატი ლევან ჭიღლაძე და ვიღაც უცნობი ქალბატონი (როგორც შემდეგ გამეცნო ნინო რევაზიშვილი – ხვინთელიანის ადვოკატი). მიამბეს, წიგნი-ბროშურა დავწერეთო დასახელებით: „პოლიტიკური პატიმრის ბესარიონ ხვინთელიანის სიმართლე“, რომელშიც პატიმარ ბესარიონ ხვინთელიანის შესახებ შეთითხნილი „საქმის“ დეტალებია მოთხრობილი, სტამბაში 200 ეგზემპლარი უკვე დაბეჭდილია, მაგრამ თანხა (1000 ლარი) არა გვაქვს გადახდილი და სტამბა არ გვაძლევს ამ წიგნებსო, რომლებიც ხვალ დილით ქუთაისში უნდა წავიღოთ და პარლამენტის სესიის გახსნამდე უნდა დავურიგოთ პარლამენტარებსო, რათა მათ წაკითხვა მოასწრონ და გასათავისუფლებელი პატიმრების სიაში ბესარიონ ხვინთელიანიც შეიყვანონო.

ერთი კი გავიფიქრე: თქვე დალოცვილებო, ეს ადვოკატები უჰონორაროდ ფეხს არ ადგამთ და მე სრულიად უცხო ადამიანს ამხელა თანხას მთხოვთ (შეიძლება სხვისთვის ეს არ იყოს დიდი თანხა, მაგრამ ჩემი ეკონომიკური შესაძლებლობის კაცისთვის იმ მომენტში სერიოზული თანხა იყო). მოკლედ, გაფიქრებით კი გავიფიქრე, მაგრამ არ მიყოყმანია, საქმე ადამიანის ბედს ეხებოდა და ულაპარაკოდ ეს თანხა გამოვუტანე. ასე 12 საათისთვის წავიდნენ. ღამის 3 საათზე ისევ ზარია კარზე, ავდექი, ჩავიცვი. ამჯერად მარტო ადვოკატი ქალბატონი მოვიდა და მომახსენა: წიგნები კი გამოვიტანეთ, მაგრამ ქუთაისში წასასვლელი ბენზინის ფული არ გვაქვსო და იქნებ ისევ თქვენ დაგვეხმაროთო, ამჟამად 300 ლარი გვეყოფაო (თავხედობა მინახავს, მაგრამ ასეთი?). რა მექნა, ეს თანხაც „შევაკოწიწე“, მივეცი და წავიდნენ (მერე კი ვუთხარი საყვედური ჩემს ადვოკატს, ამ უცხო ხალხს რომ მაყენებ კარზე, თანაც ღამე, ხომ ხედავ, რომ უცხო ხალხის მიღების საყოფაცხოვრებო პირობები არა მაქვს და სტუმრის მიღებას ჯეროვნად ვერ ვახერხებ... მეტი გამოსავალი არ გვქონდაო, ასე მიპასუხა).

მეორე დღეს ქუთაისში პარლამენტის სესიაზე (საღამოს 4 საათისთვის) წაიკითხეს 200-მდე პოლიტპატიმრის სია, რომლებსაც ამნისტია შეეხო და ისინი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყვნენ ციხიდან, მათ შორის იყო ბესარიონ ხვინთელიანიც.

მე დავინტერესდი ამ პიროვნებით, გავიგე პატიმრების განთავისუფლების დღე და გადავწყვიტე, წავსულიყავი რუსთავის სასჯელაღსრულების N17 დაწესებულებაში, სადაც ჩემი ინფორმაციით სასჯელს იხდიდა ბესარიონ ხვინთელიანი. დილის 9 საათისთვის რუსთავის კოლონიის წინ, ალაყაფთან ვიდექი სხვა ხალხთან ერთად. მინდოდა, ფიზიკურად დამენახა ის კაცი, ვისი გულისთვისაც ნებაყოფლობით „გამაკულაკეს“.

ნახევარ საათში ამ კოლონასთან შავი ჯიპით მოვიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე სოზარ სუბარი, რომელსაც ვიცნობდი. იგი მოვიდა ხელი ჩამომართვა და მითხრა, რისთვის თუ ვისთვის ვიყავი მოსული. როცა ჩემგან გაიგო, მითხრა, რომ ბესარიონ ხვინთელიანი აქ კი არა, გარდაბნის გზაზე N16 სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან უნდა გამოვიდესო, გამომემშვიდობა და წასვლის წინ მითხრა, თუ დროზე წახვალ, 10 საათზე გამოუშვებენო და მიუსწრებო. პატიმრების იმდენი გულშემატკივარი იყო გარშემო, რომ, როცა სუბარი წავიდა, ყველა მე მომადგა ათასნაირი შეკითხვით. ძლივს დავუძვერი მათ და სასწრაფოდ წავედი გარდაბნის გზაზე N16 კოლონიაში. იქაც ბევრი გულშემატკივარი იყო (განსაკუთრებით, სვანები). **იქვე იდგა ცხონებული სოსო ჯაჭვლიანი, რომელსაც ვიცნობდი. მისალმების შემდეგ მანაც იგივე მკითხა, რაც სოზარ სუბარმა: სოსოს მოკლედ მოვუყევი, რომ ბესარიონ ხვინთელიანის შესახებ წიგნის დამფინანსებელი ვიყავი, მაგრამ წიგნის გმირს არ ვიცნობდი. შევატყვე, გაუკვირდა, მაგრამ არ შეიმჩნია და მითხრა: ჩვენც ბესოს ველოდებითო. აქ, ჩემთან დადექითო და აუცილებლად გაგაცნობთო.**

მართლაც, 10 საათზე გაიღო დიდი ალაყაფის კარი და გამოვიდა პატიმართა დიდი ჯგუფი ბარგით (ძირითადად, ზურგჩანთებით), მათ შორის იყო ახოვანი, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი სვანური ქუდით, რომელიც გამოემართა ჩვენკენ, სოსოს გადაეხვია და გადაკოცნა. შემდეგ სოსომ გამაცნო ბესარიონ ხვინთელიანი და... გააგრძელეს სვანურად ლაპარაკი, არ ვიცი, რა თემაზე...

მას შემდეგ 12 წელზე მეტი გავიდა. ხვინთელიანი აღარ მინახავს, გავიგე, რომ კვიპროსში ცხოვრობსო (რამდენად სწორია, არ ვიცი), სოსო ჯაჭვლიანიც გარდაიცვალა.

**P.S. რასაკვირველია, იმ თანხამ „ჭირი მოგვჭამა“, სიმართლე გითხრათ, არც არასდროს დამიყენებია მისი დაბრუნების საკითხი, მაგრამ ჩემს ადვოკატს ვუთხარი, მოეტანა იმ წიგნის ეგზემპლარი, რომელიც მე დავაფინანსე. მართლაც მომიტანა ის ეგზემპლარი, რომელიც ღამე საკანში შეუტანიათ ბესარიონ ხვინთელიანისთვის, რომელმაც რედაქტორობა გაუწია ამ წიგნს, თავისი ხელით ჩაუსწორებია ორთოგრაფიული შეცდომები (ასეა თუ ისე, მე ასე გადმომცეს, სიმართლე ალბათ ბატონმა ბესარიონმა იცის).**

**ეს წიგნი დღეს ჩემთანაა, რომელიც, ალბათ, უფრო ღირებული იქნება წიგნის გმირისათვის...**



**ოთარ კერვალიშვილი,**
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. 4 დეკემბერი, 2024 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

# ოკეანედალეული ქართველი პუბლიცისტის აწონილი სიტყვა

მესამე გვერდიდან

ისე არ გამიგოთ, თითქოს, ვერ ვხედავდე ძალოვანი სტრუქტურებიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს, სამწუხაროდ, ასეც ხდებოდა, მაგრამ აუცილებლად ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სპეცრაზმი (სრული აღჭურვილობით და ფარით) და პოლიცია საათობით (8–10 და 12 საათიც კი!) გაუნძრევლად იდგა მწყობრში (საღამოს საათებიდან დილამდე!) და არცერთხელ არ წამოუწყია საპროტესტო აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლა მანამ, სანამ „მშვიდობიანი“ აქცია არ გასცდებოდა ყოველგვარ ზღვარს. ინიციატორები კი, ყოველთვის „ბავშვები“ იყვნენ და, მიუხედავად ამისა, კანონით გათვალისწინებული ძალისმიერი მეთოდების გამოყენება მხოლოდ დაუმორჩილებლობის შემდეგ, მხოლოდ მრავალჯერადი გაფრთხილების შემდეგ – „დაშლილიყვნენ“, მთელი ღამე ლოდინის შემდეგ, დილისკენ იწყებოდა!

სამწუხაროდ, ამომრჩევლების უმეტესობას, ანუ ვინაც არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი და, იმათაც, ვისაც არც ქოცებისთვის და არც ნაცებისთვის არ მიუცია ხმა, არავინ, თითქმის არავინ არ გვესარჩლება – თითო–ოროლა სახელმწიფოს (უნგრეთი, სლოვაკეთი და სერბეთი) ლიდერის კანტიკუნტად ამოღებულმა ხმამ, შეუძლებელია გადაფაროს ევროკავშირის ქვეყნების და აშშ–კანადა–ბრიტანეთის ხმები, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ ხმებს თავისას უერთებს ზნედაცემული და სულგაყიდული ოთხი ნაცპარტია.

დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ერთი პატარა სახელმწიფო ან, თუნდაც, რამდენიმე, ვერაფერს გახდება ისეთ დიდ და ძლიერ გაერთიანებასთან, როგორიცაა კოლექტიური დასავლეთი. იმისათვის, რომ ჩვენი ხმა მსოფლიომ გაიგონოს, ერთი დიდი სახელმწიფოს ღია მხარდაჭერა მაინცაა საჭირო. ჩვენი უშუალო მეზობლები და შორეული ახალი პარტნიორი – ჩინეთიც, დიპლომატიური მოსაზრებებით ხმას არ იღებენ, თავად ჩვენ კი 12 წელია (მხოლოდ „ოცნების“ ხელისუფლების ხელში) რუსეთისკენ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს, ერთი დასაახლოებელი დიპლომატიური სიტყვაც ვერ გაგვიბედავს! გინება? – ლანძღვა–გინება რამდენიც გენებოთ! არადა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „პურს რუსეთი გვაჭმევს“! მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა კანონი მივიღოთ, რუსულ კანონად ნათლავენ (ამერიკულ კანონს ამერიკის ელჩი უწოდებს რუსულს და ამაზე მეტი ცინიზმი რაღა უნდა იყოს!), არჩევნებს ასევე რუსულ არჩევნებად ნათლავენ, ქართველებს – რუსებად და ა. შ. და ა.შ.

**ეს ფაქტია და, თითქოსდა, გამოუვალი დილემის წინაშე ვდგევართ, ველოდებით 2025 წლის 20 იანვარს, ტრამპის ინაუგურაციას, ეგებ კეთილი თვალით გადმოგვხედოს მან და გადატვირთვა მოხდეს ჩვენს ურთიერთობებში. პრემიერი გადაჭრით გვეუბნება: გადატვირთვა აუცილებლად მოხდებაო! ღმერთმა ქნას, მაგრამ მანამდე ხელი არ გავანძრიოთ და მშვიდად ველოდოთ მოვლენების განვითარებას? ხომ შეიძლება ლიბერასტულმა ძალებმა 20 იანვრამდე დაამხოს არსებული ხელისუფლება? შეუძლებელი არაფერია, რადგანაც ამ 12 წლის მანძილზე არცერთ სტრუქტურაში სათანადო წმენდა (ნაცებისგან გაწმენდა!) არ ჩატარებულა, არადა ყველგან, პირველ რიგში კი ძალოვან უწყებებში ნაცებია ჩაბუდებულ–ჩანერგილი!**

ამიტომ, ტრამპს დროზე უნდა მივაწოდოთ ის ინფორმაცია ოპოზიციის შესახებ, რომელიც მას არა მგონია გააჩნდეს. მხედველობაში მაქვს ნაცების და მათი მხარდამჭერი ტელევიზია–არასამთავრობოების ლიდერ–აქტივისტების პირიდან გადმოღვრილი ტრამპის „შემამკობელი“ ფრაზები. ამ მოსაზრებამდე პოლონელებმა მიმიყვანეს, რომლებმაც დაახლოებით ერთი თვის წინ შექმნილ ე.წ. **„სიკვდილის რვეულში“** თავი მოუყარეს **ევროპელი და უკრაინელი პოლიტიკოსების ნეგატიურ გამონათქვამებს ტრამპის შესახებ.** მითითებულია ავტორების გვარები, თანამდებობა, ციტატები, პუბლიკაციები, განცხადებები, აგრეთვე დართული აქვს დამადასტურებელი ვიდეომასალა. ყველაფერი ეს უკვე გაიგზავნა **სახელმწიფო დეპარტამენტში** და ამერიკის **პრეზიდენტის აღმასრულებელ ოფისში.**

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ოპოზიციური პარტიების ლიდერები და ქალბატონი პრეზიდენტიც, თავიანთი სისტემატური ვოიაჟების დროს ევროპასა და ამერიკაში, როგორც წესი, მსტოვრების, დამბეზღებლების და დეზინფორმატორების სამარცხვინო როლს ასრულებენ საკუთარი ქვეყნის საზიანოდ, გამორიცხული არ არის, რომ ამჟამადაც, ნოტრ–დამის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე პარიზში ჩასულ **სალომე ზურაბიშვილს დონალდ ტრამპთან** ზეზეულა შეხვედრის დროს (**მაკრონის** მიერ მოწყობილს, სადღაც დერეფანში), ერთი–ორი „თბილი“ სიტყვა მაინც არ ეთქვა მმართველი პარტიის მთავარ ლიდერზე – **ბიძინა ივანიშვილზე,** რათა აქედანვე უარყოფითად განეწყო ამერიკელი პრეზიდენტი საქართველოს ხელისუფლების და კონსერვატული ძალების მიმართ.

ამიტომ, ვფიქრობ, აუცილებელია პოლონურის მსგავსი „ქართული რვეულის“ შექმნა: **ნაცების მხრიდან ტრამპის შესახებ საჯაროდ გაკეთებული** (გვარების და თანამდებობების მითითებით, რასაკვირველია!) **ნეგატიური და შეურაცხმყოფელი გამონათქვამების შეკრება და ვაშინგტონში, იმავე მისამართებზე გაგზავნა!.**

**თუმცა, ეს არ იქნება მაინც საკმარისი,** მხოლოდ ამას ნამდვილად არ მიაქცევს **ტრამპი** ყურადღებას (იგი შეჩვეულია ლანძღვა–გინებას, ყველაზე მეტად მას ხომ თავად ამერიკაში ლანძღავენ!), თუკი არ დავამატებთ მთავარს, მაგალითად, აი, ასე:

**„ბატონო პრეზიდენტო, თქვენს მლანძღველ ქართულ ოპოზიციურ პარტიებს და პირებს ღიად მხარს უჭერენ საფრანგეთის, გერმანიის და ევროკავშირის ლიდერები (მაკრონი, შოლცი, ფონ დერ ლაიენი, მიშელი და სხვები), საქართველოში მოვლენილი ევროკავშირის და თვით ამერიკელი(!) ელჩებიც (ქალბატონები: ამჟამინდელი ელჩი დეგნანი და, ყოფილი – დეგნანი) და, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, – საქართველოს ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი, ქ–ნი ზურაბიშვილიც!**

**პოლონური „რვეულის“ ავტორების მიზანი იყო, შეგეწყვიტათ უკრაინისთვის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა და იგი მიგემართათ პოლონეთისკენ. მათგან განსხვავებით, ჩვენ არ გთხოვთ, ფინანსურ დახმარებას და არც ვინმეს დასანქცირებას, ჩვენი თხოვნაა მხედველობაში მიიღოთ ჩვენი გულისწუხილი და, როდესაც ვინმე საქართველოზე საუბარს წამოიწყებს, ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ ვინ, რომელი პარტიის წარმომადგენელი ლაპარაკობს ქართველი ხალხის სახელით! გთხოვთ აგრეთვე, რომ ეგებ, ახლა მაინც გამოგვიგზავნოთ თქვენ მიერ აღიარებული კონსერვატიული ღირებულებების დამცველი, ქართველი ხალხისადმი მეგობრულად განწყობილი ისეთი ელჩი, რომელიც აშკარად მაინც არ ჩაერევა ჩვენს არჩევნებში და სასამართლოს მუშაობაში, როგორც ეს იყო აქამდე. ამით იგი დაამტკიცებს იმასაც, რომ ნამდვილად, ანუ საქმით არის თქვენი ერთგული, რესპუბლიკელების მხარდამჭერი. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ევროპა–ამერიკაზე გულაცრუებული ქართველი ხალხის დიდი ნაწილის თქვენკენ, დასავლეთისკენ შემობრუნება“!**



**იაკობ ლეჟავა**
12.12.2024

**P.S. კარგი იქნება, ამ ინფორმაციის შეკრებას ხელისუფლება თუ მოაგამს თავს და თავად მიაწვდის ამერიკის პრეზიდენტს თავისი არხებით (მაგრამ არავითარ შემთხვევაში მხოლოდ ამერიკის საელჩოს გზით!). ხელისუფლების მიმართვას გაცილებით მეტი წონა ექნება, ვიდრე ვინმეს მიერ (პიროვნების ან ორგანიზაციის) გაგზავნილ ღია წერილს.**

**ი.ლ.**




# ევროპის 2024 წლის ყველაზე გავლენიანი ადამიანები

**გუშინ ამერიკული გამოცემა „პოლიტიკოს“ პირდაპირ ეთერში ევროპის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი დაასახელეს.**




„პოლიტიკოს“ მიერ შედგენილ ევროპის 2024 წლის ყველაზე გავლენიან ადამიანად იტალიელი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი, 2022 წლიდან იტალიის პრემიერ-მინისტრი **ჯორჯა მელონი** დასახელდა.

„პოლიტიკო“ ევროპის ყველაზე გავლენიან ადამიანთან ერთად სამ სხვადასხვა კატეგორიაში ადგენს რეიტინგს.

**„აღმასრულებლებში“**, ანუ აღმასრულებელი ძალაუფლების მქონეთა კატეგორიაში რეიტინგის სათავეში ევროკომისიის პრეზიდენტი **ურსულა ფონ დერ ლაიენია.** მომდევნო ადგილებზე კი არიან:



ურსულა ფონ დერ ლაიენი

**2. ვლადიმირ პუტინი** – რუსეთის პრეზიდენტი;

**3. დონალდ ტუსკი** – პოლონეთის პრემიერ-მინისტრი;

**4. ნადია კალვინიო** – ესპანელი ეკონომისტი, ევროპის საინვესტიციო ბანკის პრეზიდენტი;

**5. პეტრ სერაფინი** – პოლონელი იურისტი, ევროკომისარი ბიუჯეტის, თაღლითობისა და საჯარო მმართველობის საკითხებში;

**6. რეიჩელ რივზი** – დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი;

**7. სტეფანი რიზო** – ფრანგი ეკონომისტი და ფინანსისტი, ევროკომისიის გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი ბიუჯეტსა და ფინანსებში;

**8. ანტონიო კოშტა** – პორტუგალიელი იურისტი და პოლიტიკოსი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი;

**9. საბინა ვეიანდი** – გერმანელი ევროკომისიის გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი სავაჭრო პოლიტიკის საკითხებში.

კატეგორიაში **„მეოცნებეები“** პირველ ადგილზე გავიდა ნატოს გენერალური მდივანი **მარკ რიუტე.** მომდევნო ადგილებზე არიან:



მარკ რიუტე

**2. ანდრი ერმაკი** – უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი;

**3. კაია კალასი** – ესტონელი იურისტი და პოლიტიკოსი, ევროპული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, ევროპული საბჭოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში;

**4. ვიქტორ ორბანი** – უნგრეთის პრემიერ-მინისტრი;

**5. არმინ პაპენგერი** – გერმანელი ბიზნესმენი, კონცერნ „რაინმეტალის“ დირექტორი;

**6. რადოსლავ სიკორსკი** – პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი;

**7. პაპი ფრანცისკე** – რომის პაპი;

**8. პედრო სანჩესი** – ესპანეთის პრემიერ-მინისტრი;

**9. არტურ მენში** – ფრანგი ინჟინერი, გენარაციული ხელოვნური ინტელექტის კომპანია Mistral AI-ის თანადამფუძნებელი.

კატეგორიაში **„ამრევები“** პირველ ადგილზე დაასახელეს გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერი, კანცლერობის კანდიდატი **ფრიდრიხ მერცი.** მომდევნო რვა ადგილზე კი გავიდნენ:



ფრიდრიხ მერცი

**2. ტერეზა რიბერა** – ესპანელი იურისტი და პოლიტიკოსი, ევროპული საბჭოს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი სუფთა, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკაზე გადასვლის საკითხებში, ევროკომისარი კონკურენციის საკითხებში;

**3. რაფალ ტშასკოვსკი** – პოლონელი პოლიტიკოსი, ვარშავის მერი;

**4. მარინ ლე პენი** – ფრანგი იურისტი და პოლიტიკოსი, საპარლამენტო ფრაქცია „ეროვნული გაერთიანების“ ლიდერი;

**5. რაფაელე ფიტო** – იტალიელი პოლიტიკოსი, ევროპული საბჭოს აღმასრულებელი ვიცე–პრეზიდენტი ერთიანობისა და რეფორმების საკითხებში, კომისარი ერთიანობის, რეგიონალური განვითარების და ქალაქების საკითხებში;

**6. პეტერ მადიარი** – უნგრელი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, ევროპარლამენტარი;

**7. ჰერბერტ კიკლი** – ავსტრიელი პოლიტიკოსი, „თავისუფლების პარტიის“ თავმჯდომარე;

**8. სარა ვაგენკნეხტი** – გერმანელი ეკონომისტი, მწერალი და პუბლიცისტი, პარტია „სარა ვაგენკნეხტის კავშირი: საღი აზრის და სამართლიანობისთვის“ დამაარსებელი და ლიდერი;

**9. უდო ზოლეისი** – გერმანელი პოლიტიკოსი, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარის მანფრედ ვებერის მარჯვენა ხელი.

# ბრძოლა მისი სტიქიაა





## მსოფლიო ლიდერები

**პორტუგალიის** ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა ლუიშ მონტენეგრუმ ოჯახური ტრადიცია განაგრძო, ბაბუისა და მამის მსგავსად, თავადაც იურიდიული განათლება მიიღო. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გაწევრდა.

პორტუგალიას, 1976 წლიდან მოყოლებული, ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებული ორი, სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტია უდგას სათავეში, თუმცა, ქვეყნის სამართავად, მათ, როგორც წესი, სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად უწევთ ხოლმე კოალიციის შექმნა. ამ პარტიების სახელწოდების მიხედვით, ისინი, თითქოს, იდეოლოგიური ტყუპები არიან, მაგრამ, სინამდვილეში, ასე არ არის. სოციალისტები მემარცხენე ცენტრისტული, ხოლო სოციალ-დემოკრატები მემარჯვენე ცენტრისტული პოლიტიკური ძალაა. ეს უკანასკნელი ევროპარლამენტში ევროპის სახალხო პარტიის ფრაქციაში შედის.

მოკლედ, 19 წლის ლუიშ მონტენეგრუ პარტიამ ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატების ლიდერად აირჩია. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, მონტენეგრუ მშობლიური ქალაქის, ეშპინიოს მერიაში მუშაობდა. 2002 წელს, საპარლამენტო არჩევნებში, ჟოზე მანუელ-ბაროზოს ლიდერობით, სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. ლუიშ მონტენეგრუ, პარტიული სიით, პორტუგალიის პარლამენტის წევრად აირჩიეს. 2002 წლიდან დღემდე, ის ხუთი მოწვევის პარლამენტის წევრია.

2005 წელს პარტიამ ლუიშ მონტენეგრუ ქალაქ ეშპინიოს მერობის კანდიდატად წამოაყენა, მაგრამ სოციალისტ ჟოზე მოტესთან შეჯიბრში დამარცხდა. წაგებამ საშინლად დაწყვიტა გული. მშობლიური ქალაქის მერობა ეწადა ძალიან და იმიტომ! 2010 წელს ლუიშ მონტენეგრო პარლამენტში სოციალ-დემოკრატების პარტიის ფრაქციის ლიდერის მოადგილედ აირჩიეს. ერთი წლის შემდეგ კი, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელი გახდა, რომელსაც 7 წლის განმავლობაში მართავდა. 2011 წელს სოციალ-დემოკრატები პედრუ კოელიუს ლიდერობით ქვეყნის სათავეში მოვიდნენ, მაგრამ მათ სოციალისტებისგან ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დახვდათ.

ქვეყანა დიდ ეკონომიკურ კრიზისში იყო. კრიზისიდან გამოსასვლელად, მთავრობას დახმარება ბრიუსელმა აღუთქვა. ეგრეთწოდებულმა სამეულმა, ევროკომისიის, ევრობანკისა და სავალუტო ფონდის შემადგენლობით, პორტუგალიის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვით, ევროკავშირი 78 მილიარდი ევროს ოდენობის ფინანსურ დახმარებას გაუწევდა ქვეყანას, ოღონდ, იმ პირობით, რომ პორტუგალიის მთავრობა სახელმწიფო ხარჯებს შეამცირებდა.

პორტუგალიის მთავრობამ გეგმა მიიღო, მაგრამ ხალხის უმრავლესობა უკმაყოფილო დარჩა, რადგან სახელწიფო ხარჯების შემცირება ყველაზე მეტად ქვეყნის დაბალმა ფენებმა იწვნიეს. მონტენეგრუს ოპოზიციის გაუთავებელი შეტევების მოგერიება უწევდა. 2014 წელს მან პორტუგალიელები საშინლად გაანაწყენა. ასე თქვა, მართალია, ხალხის ცხოვრება ვერ გაუმჯობესდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სახელწიფო ცხოვრობს უკეთესადო. ამ ერთი ფრაზის გამო, პორტუგალიის პოპულარულ პრემიერ-მინისტრს საქვეყნოდ მოუწია ბოდიშის მოხდა.

2015 წლის საპარლამენტო არჩევნებში, სოციალ-დემოკრატები პირველ ადგილზე კი გავიდნენ, მაგრამ კოალიციის შექმნა ვერ მოახერხეს. მათმა კონკურენტმა, სოციალისტებმა, ანტონიუ კოშტას მეთაურობით, კოალიციის შექმნა შეძლეს და ქვეყნის მმართველები გახდნენ. 2018 წელს სოციალ-დემოკრატების პარტიის ლიდერმა პედრუ კოელიუმ თანამდებობა დატოვა და პარტიამ ლიდერის არჩევნები გამოაცხადა. არჩევნებში ორი ძლიერი კანდიდატი გამოიკვეთა: ლუიშ მონტენეგრუ და რუი რიუ. რუი რიუ პარტიის მემარცხენე ფრთას წარმოადგენდა, მონტენეგრუ და სხვა კანდიდატები კი, მემარჯვენე ცენტრისტულს.

პარტიის 54-მა პროცენტმა რუი რიუს და მის მემარცხენე პოლიტიკას მისცა ხმა. რუი რიუს გამარჯვებით უკმაყოფილო ლუიშ მონტენეგრუმ დეპუტატობის მანდატი ჩააბარა და აქტიურ პოლიტიკაში მონაწილეობა დროებით შეაჩერა. პოლიტიკურ ასპარეზს მხოლოდ 2022 წელს დაუბრუნდა. მანამდე კი, ოთხი წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, პორტუგალიის ორ დიდ კომპანიას ხელმძღვანელობდა.

2023 წლის 7 ნოემბერს, კორუფციული სკანდალის გამო, პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი ანტონიუ-კოშტა თანამდებობიდან გადადგა. სკანდალში კოშტას კაბინეტის წევრები იყვნენ გახვეულნი, მაგრამ, რადგან სკანდალი კოშტას არ შეხებია, ქვეყნის პრეზიდენტმა ის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დატოვა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნა. ლუიშ მონტენეგრუ რიგგარეშე არჩევნების გამოცხადების პირველივე დღეს ჩაერთო საარჩევნო კამპანიაში. მან წარმატებით გამართა სახალხო პარტიასთან კოალიციური მოლაპარაკებები. წესით, კოალიციურ მოლაპარაკებას მოგების შემდეგ მართავენ, მაგრამ გამარჯვებაში დარწმუნებული ლუიშ მონტენეგრუ საარჩევნო კამპანიის დაწყებიდანვე ქმნიდა სამომავლო კოალიციას. მონტენეგრუს ინტუიციამ არ უღალატა და არჩევნებში მისი პარტია პირველ ადგილზე გავიდა.

2024 წლის 2 აპრილს კი, ლუიშ მონტენეგრუმ პორტუგალიის პრემიერის პოსტი დაიკავა. შიდა პოლიტიკაში ის მიგრანტების მიმართ კანონების გამკაცრებისა და ზოგიერთი გადასახადის შემცირების მომხრეა, საგარეო პოლიტიკაში, ნატოსა და ევროკავშირის გაძლიერებას უჭერს მხარს. ამბობენ, რომ ის სამხედრო ბიუჯეტს გაზრდის. ომში უკრაინის მხარესაა და მის ევროკავშირში გაწევრებას უჭერს მხარს. ლუიშ მონტენეგრუ ბედნიერ ქორწინებაშია. წყვილს ორი შვილი ჰყავს. მასმედიის აზრით, ლუიშ მონტენეგრუ პორტუგალიის მასონთა მოცარტის სახელობის ლოჟის წევრია.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# ცაში გასროლილი მილიარდები!..

## ბეზოსის კოსმოსური კომპანია Amazon-ზე დიდი იქნება

**მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის ჯეფ ბეზოსის აზრით, მისი კოსმოსური კომპანია Blue Origin მომავალში იმდენად გაიზრდება, რომ ის მის მიერ დაფუძნებულ ტექნოლოგიურ გიგანტზე, Amazon-ზე დიდი იქნება.**

როგორც ბეზოსი აღნიშნავს, ამჟამად **Blue Origin**-ი კერძო საკუთრებაშია და ის სრულად მისი პირადი სახსრებით ფინანსდება. გარდა ამისა, კომპანია მოგებაზე ვერ გადის და მისი ბიზნესმოდელიც გაუმართავია, თუმცა ზრდის ის პოტენციალი, რომელიც **Blue Origin**-ს აქვს, ბეზოსს აძლევს საშუალებას, რომ მან ასეთი თამამი განაცხადი გააკეთოს.

შედარებისთვის, **Amazon**-ის საბაზრო შეფასება 2 ტრილიონ 400 მილიარდ დოლარს შეადგენს და ამ მაჩვენებლით ის გლობალურ რეიტინგში მე-4 ადგილს იკავებს. ბეზოსის მიერ 1994 წელს დაფუძნებული კომპანია იმდენად დიდია, რომ მისი კაპიტალიზაცია სახელმწიფოების უმეტესობის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას აჭარბებს.

თუკი ბეზოსის პროგნოზი გამართლდება, მაშინ მომავალში **Blue Origin**-ის კაპიტალიზაცია მინიმუმ $2.4 ტრილიონი იქნება. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ თავად **Amazon**-ი მუდმივად იზრდება, განსაკუთრებით **AWS**-ის განვითარების და ხელოვნური ინტელექტის დახმარების ფონზე.

ამერიკელი მეწარმე იმასაც ამბობს, რომ კოსმოსის შესწავლა და ციური სხეულების დაპყრობა მისი ოცნება და გატაცებაა, რის გამოც ის **Blue Origin**-ის განვითარებაზე ძალ-ღონეს არ იშურებს. ცნობისთვის გეტყვით, რომ **Blue Origin**-ის ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი ტექნოლოგიური კონტრაქტორია, რომელიც ქვეყნისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ კომპანიას ერგო $3.4-მილიარდიანი კონტრ-




აქტი, რომელიც **Artemis V**-ის მისიის ფარგლებში, 2029 წელს მთვარეზე ადამიანებს დასვამს. ბოლო წლებში, **Blue Origin**-ი ყველაზე მნიშვნელოვან წამოწყებად იქცა თავად მისი დამფუძნებლისთვის, რაზედაც ისიც მიუთითებს, რომ ჯეფ ბეზოსმა სიეტლში ცხოვრებაზე უარი თქვა და საცხოვრებლად მაიამში გადავიდა, რაც, როგორც თავად ახსნა, მშობლებთან და კეიპ-კანავერალის სადგურზე მდებარე **Blue Origin**-ის სადგურთან ახლოს ყოფნის საშუალებას მისცემს.

მართალია, **Blue Origin**-ს ფართო საზოგადოებაში ისე არ იცნობენ, როგორც ილონ მასკის **SpaceX**-ს, თუმცა მას სატრაბახოდ ნამდვილად აქვს საქმე, რადგან სწორედ ის შეიძლება აღმოჩნდეს პირველი კომპანია, რომელიც მთვარის კოლონიზაციის მიმართულებით ქმედით ნაბიჯს გადადგამს.

თუკი ბეზოსს დავუჯერებთ, სწორედ **Blue Origin**-ი იქნება ის კომპანია, რომელიც მზის სისტემის კოლონიზაციას შეძლებს და კაცობრიობას მულტიპლანეტარულ ცივილიზაციად აქცევს.

ამ ეტაპზე, **Blue Origin**-ის ძირითად დანიშნულება **NASA**-ს კონტრაქტების აღსრულება და ტურისტული მიმართულებით საქმიანობაა, თუმცა, როგორც ბეზოსი აღნიშნავს, ეს მხოლოდ დასაწყისია და მომავალში კომპანია კოსმოსის დაპყრობას შეძლებს.

# ევროკავშირში რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-15 პაკეტზე შეთანხმდნენ

**ამის შესახებ განცხადებას ევროკავშირის საბჭოს უნგრეთის თავმჯდომარეობა სოციალურ ქსელ X-ის საკუთარ გვერდზე ავრცელებს.**

„ელჩები ახლახან შეთანხმდნენ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიაზე საპასუხო სანქციების მე-15 პაკეტზე.

პაკეტი მეტ პირსა და ერთეულებს ამატებს უკვე არსებულ სასანქციო სიას, და სამიზნეში იღებს კომპანიებს რუსეთსა და მესამე ქვეყნებში, რომლებსაც ირიბად წვლილი შეაქვთ რუსეთის სამხედრო და ტექნოლოგიურ გაძლიერებაში საექსპორტო აკრძალვებისადმი გვერდის ავლით.

მიღებული სანქციები ზღუდავენ მესამე ქვეყნების დამატებითი გემების საქმიანობას, რომლებიც ოპერირებენ, რათა წვლილი შეიტანონ ან მხარი დაუჭირონ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ქმედებებს ან პოლიტიკას, რომელიც ამ ქმედებებს ეხმარება“, – ნათქვამია განცხადებაში.

# სამხრეთ კორეის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თვითმკვლელობა სცადა

**სამხრეთ კორეის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა კიმ იონგ-ჰიონმა, რომელსაც ამბოხება ედება ბრალად, დაკავების იზოლატორში თვითმკვლელობა სცადა, – ამის შესახებ სამხრეთ კორეის სასჯელაღსრულების სამსახურის გენერალურმა კომისარმა, შინ იონგ-ჰემ განაცხადა.**

მისივე თქმით, ყოფილმა მინისტრმა თავის მოკვლა ფორმალური დაკავების ორდერის გაცემამდე სცადა.

ცნობისთვის, კიმ იონგ-ჰიონი სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების მცდელობაში მონაწილეობის ბრალდებით სეულში 8 დეკემბერს დააკავეს. ბრალდების მიხედვით, ყოფილმა მინისტრმა პრეზიდენტს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება ურჩია.

მანამდე, 4 დეკემბერს სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრმა კიმ იონგ-ჰიონმა პრეზიდენტი იუნ სუკ იოლის მიერ საომარი მდგომარეობის დაწესების მცდელობისა და საზოგადოებაში მღელვარების გამოწვევის გამო ბოდიში მოიხადა და თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან გადადგა.

# ისევ ქართველის ხელით!



## 32 წლის წინათ!..

### ვაი, სირცხვილო...

ქართველი ქართველს ებრძვის,
ვაი, სირცხვილო, ვაი,
ერთი სკოლის და მერხის
აქეთ და იქით – ძმაი.

ვინ მოგცათ მაგის ნება,
საიდან გვერგო ხვედრი?
მხოლოდ ქართველი კვდება,
ისევ ქართველის ხელით.

არ გვაპატიებს ღმერთი,
დაგვსჯის, სასტიკად დაგვსჯის
და როგორც ქვეყნად ერთი,
სულ უპატრონოდ დაგვყრის.

ცრემლით მევსება თვალი,
ტანს ჟრუანტელი მივლის,
ვბარბაცებ, როგორც მთვრალი,
როცა ვუყურებ თბილისს.

ჩვენივე ხელით დასჯილს,
მუდამ მზიანს და მარადს,
ხალხო, ისეთი რა გვჭირს,
რომ ვეღარ ვუვლით ქალაქს.

ნეტავ, მისანი ვიყო,
მქონდეს ისეთი ძალა,
საქართველოს და ქართველს
გადავეფარო ფარად.
ქართველი ქართველს ებრძვის,
ვაი, სირცხვილო, ვაი,
ერთი სკოლის და მერხის,
აქეთ და იქით – ძმაი.

**1991-92 წ.წ.**

### ვნატრობ

ვნატრობ კიდევ
ერთ დავითს,
ველი კიდევ
ერთ თამარს,
რომ გაბრწყინდეს
მზესავით
სვეტიცხოვლად
გელათად,

ღმერთმა ცუდი ამბები
ქართველობას გვაშოროს,
როცა ერთად დავდგებით,
ეშველება სამშობლოს.

ვნატრობ კიდევ
ერთ დავითს,
დროშას ვნატრობ თამარის,
რომ გაბრწყინდეს
მზესავით – ერი ჯვარცმით მავალი.

### წუთისოფლის გზა

ამ წუთისოფლის გზაზედა
დარდით და ბოღმით რა ივლის,
სიხარული თუ გეწვია
ისიც ერთ წამში გაივლის.
სანამ ფიქრი და ოცნება,
ტანს იმედებში აიყრის,
მანამდე ჩვენი სიცოცხლე
ნაკადულივით ჩაივლის.

### მთაში ჩამოჩარგალდა...

ვაჟას

მთაში ცხოვრობდა,
იყო მთის კაცი,
მთას შეეჭიდა იგი თამამად,
ჩარგალში იყო მისი შამქორი,
ჩარგალში იყო მისი მარაბდა.

ქარში, წვიმაში, მზეში თუ თქეშში,
ხნავდა, თესავდა, ლექსებს რანდავდა,
ყველა განსაცდელს უძლებდა, რადგან
სწამდა უფალი დაიფარავდა.

მერე კი ცოდნის გაღრმავებისთვის
უცხოეთშიც კი გაინავარდა,
მაგრამ მთის კაცმა დიდხანს ვერ გაძლო
და ისევ მალე ჩამოჩარგალდა.

მთაში ცხოვრობდა,
იყო მთის კაცი,
მთას შეეჭიდა იგი თამამად,
მთამაც რომ ვეღარ დაიმორჩილა,
დასვა მგოსანთა მუდმივ თამადად.

### მეც დავბრუნდები...

გადაიარა წლებმა ქარიშხლის,
თოვდა და წვიმდა, წვიმდა და თოვდა,
სად გაქრა წლები დღესაც არ ვიცი,
ვის რასა ვთხოვდი, ვინ რასა მთხოვდა.
კარგია, როცა ვიყავი ერთ დროს,
თუმცა ტკბილ-მწარე ცხოვრება მქონდა,
მხოლოდ ერთი რამ მითხარი, ღმერთო,
ნუთუ იმ ქვეყნად სუყველა ცხონდა?
მუდმივ სიკვდილსაც გადავურჩები,
რადგან სიცოცხლე მიდის
და მოდის,
იმედი მაქვს, რომ მეც
დავბრუნდები,
მაგრამ არ ვიცი, რისთვის
და როდის.



**ზურაბ მამულაშვილი.**




## მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ მასალები ქართულ პერიოდიკაში

**„მევენახეობისა და მეღვინეობის ამბები XIX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი გამოცემაა. წიგნის გამოცემის იდეა ეკუთვნის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს, ეთნოლოგიის დოქტორ მირიან ხოსიტაშვილს.**

გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს ვაზის გაშენებისა და ღვინის წარმოების ათასწლოვანი ისტორია აქვს. ქართველებმა მევენახეობა-მეღვინეობის მდიდარი და ორიგინალური კულტურა შექმნეს. საუკუნეების განმავლობაში ქართულ ყოფით კულტურაში ვაზსა და ღვინოს უდიდესი ადგილი ეკავა. ამ და სხვა გარემოებებმა განაპირობა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დარგობრივი ჟურნალ-გაზეთების დაარსება, რომლებიც სოფლის მეურნეობის საკითხებს და მათ შორის ვაზისა და ღვინის შესახებ ამბებს აშუქებდა.

ამ გამოცემათაგან პირველი იყო რაფიელ ერისთავის ინიციატივით დაარსებული „გუთნის დედა“. კრებულში ასევე შესულია მასალები „ივერიიდან“, „დროებიდან“, „სასოფლო გაზეთიდან“ და სხვა პერიოდული გამოცემებიდან.

# ლიტერატურული პრემიების ლაურეატები

## გიორგი შარვაშიძის პრემია




**ვ. არძანიას არტგალერეაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის 2024 წლის ლაურეატთა დაჯილდოება გაიმართა.**

გიორგი შარვაშიძის 2024 წლის პრემია მიენიჭათ აფხაზ **დავით (გოდღო) ემუხვარს** – სიკვდილის შემდეგ, გამოქვეყნებული პუბლიკაციებისთვის, მხატვარ **ამირან ქუპრავას** – ფერწერული ტილოებისთვის, **თამარ ბართაიას** – რომანისთვის „ფერფლი“, მწერალ **თეა თოფურიას** – წიგნისთვის „იაკობის ჭა“.

ლაურეატებს დიპლომები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დავით მორგოშიამ გადასცა.

**„გიორგი შარვაშიძე აფხაზი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ვაჟი იყო. ის აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და ქართველ ეროვნულ მოღვაწეებთან ერთად აფხაზურ-ქართული ურთიერთობის შენარჩუნებისთვის იბრძოდა. ქართველი თანამოაზრენიც გიორგი შარვაშიძეს „აფხაზ და ქართველ მწერლად“ მოიხსენიებდნენ. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სახელობის პრემიის არსებობა და საპატიოა მისი ლაურეატობა“,** – განაცხადა დავით მორგოშიამ.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია 1995 წელს დაწესდა. ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება და ენიჭება ლიტერატურის, მეცნიერების, პუბლიცისტიკისა და ხელოვნების დარგში შექმნილ, განსაკუთრებული ეროვნული ღირებულებების მქონე ნაწარმოებს (ნაშრომს).

დაარსებიდან დღემდე გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია მიენიჭა ათეულობით ცნობილ მწერალს, პუბლიცისტს, მუსიკოსს, მეცნიერს, მხატვარსა თუ ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელს.

დაჯილდოების ცერემონიას გიორგი შარვაშიძის პრემიის კომისიის წევრები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და სამინისტროს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

**აფხაზეთის მთავრობის პრესსამსახური**

## „წინანდლის პრემია“




**გამოვლინდნენ „წინანდლის პრემიის“ ახალი ლაურეატები. ორგანიზატორების ინფორმაციით, 2024 წლის „წინანდლის პრემია“ მიენიჭათ:**

თეატრალურ ხელოვნებაში – **ნატალია გაბისონიას;**
კინოხელოვნებაში – **ნიკა ოდიშელიძეს;**
პროზაში – **ლაშა მილორავას;**
პოეზიაში – **გიორგი ხარაიშვილს;**
მუსიკალურ ხელოვნებაში – **დავით ჯიქიას;**
სახვით ხელოვნებაში – **თიკა შელიასა** და **ანო ჯიშკარიანს;**
ჰუმანიტარულ მეცნიერებებში – **ბორის კომახიძესა** და **ლევან ლოსაბერიძეს;**
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – **ნინო რევაზაშვილსა** და **ელენე კაცაძეს.**

„წინანდლის პრემია 2024“ განხორციელდა ზურაბ ჟვანიას ფონდის ორგანიზებით.

## გოდერძი ჩოხელის სახელობის კონკურსი



**ჟიურიმ დაასახელა 3 გამარჯვებული და 5 საუკეთესო ნამუშევრის ავტორი:**

I პრემია – **ლილე კვირკვია,**
II პრემია – **გოჩა სხილაძე,**
III პრემია – **ელენე გოგებაშვილი.**
**საუკეთესო ხუთეული:**
**ნინო გრძელიძე, მარიკა კოკაია, ნაირა კუსრაშვილი, თამარ დიასამიძე, ანა გელაშვილი.**
**კონკურსის ჟიური: მანანა კვაჭანტირაძე, ადა ნემსაძე, გაჩო კვირტია.**

ვულოცავთ გამარჯვებულებს და შემოქმედებით წინსვლას, წარმატებას ვუსურვებთ!

◉ გამოძახილი

# კავკასიური შოკი

**„შავი ლომის“ მიერ ჩელენჯ თასის სასტარტო ტურში მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებას საერთაშორისო პრესა ეხმაურება.**

ეს იყო მცირე შოკი, რადგან ქართულმა „შავმა ლომმა“ პირველად მოახერხა ტოპ 14-ის გუნდის, კერძოდ კი „ვანის“ დამარცხება (22:19). მატჩის გმირი **ლუკა მატკავა** გახდა, რომელმაც გუნდს კარში დარტყმებით 17 ქულა შესძინა, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა“.

**„ეს იყო ქართველთა მეორე გამარჯვება ჩელენჯ თასზე. ისინი ტურნირში შარშან ჩაერთვნენ, პირველივე სეზონში „სქარლეთსი“ დაამარცხეს და ახალი სეზონი შთამბეჭდავად დაიწყეს“** – წერს rugbypass-ი.

**„მატჩის გმირმა, „შავი ლომის“ კაპიტანმა ლუკა მატკავამ 17 ქულა მოაგროვა და საკუთარ გუნდს ჩელენჯ ქაფის პირველ მატჩში ფრანგულ „ვანთან“ 22:19 მოაგებინა. ეს იმას ნიშნავს, რომ „შავი ლომი“ მესამე ჯგუფს „გლოსთერთან“ და**



**„ბაიონასთან“ ერთად 4 ქულით ლიდერობს“** – აღნიშნავს **rugby365.**

ფრანგული **Le Telegramme** აქცენტს სტუმარი გუნდის კარგ თამაშზე აკეთებს:

**„დამაჯერებელი თამაშის მიუხედავად, „ვანი“ ჩელენჯ თასის სადებიუტო მატჩში თბილისში „შავ ლომთან“ 3 ქულის სხვაობით დამარცხდა. სტუმრებს სერიოზული შეცდომა არ დაუშვიათ, მაგრამ სულ რამდენჯერმე შეძლეს სახიფათო გარღვევის განხორციელება და მეტოქე მისსავე 22-ში თითქმის არ შეუწუხებიათ, თუ არ ჩავთვლით პირველ ტაიმში გატანილ ლელოს. „ვანმა“ ჩელენჯ თასზე სადებიუტო შეხვედრა მცირე სხვაობით დათმო და შესაძლოა, ბრეტონული კლუბისთვის ეს ტურნირი პრიორიტეტი არ არის, თუმცა მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს გული ძალიან დაწყდათ, რადგან ისინი თბილისში ტურისტებად არ ჩასულან“.**

**Breizh-info**-ს კორესპონდენტი თავად იმყოფებოდა „მიხეილ მესხზე“ და მკითხველს საკუთარი ემოციები გაუზიარა:

**„ბრეტონულ კლუბს ჩელენჯ თასზე სადებიუტო შეხვედრა მრისხანე ქართული გუნდის, „შავი ლომის“ წინააღმდეგ საქართველოს დედაქალაქ თბილისში ჰქონდა. დასავლურ პრესაში ვარაუდობდნენ, რომ ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, „ვანის“ ვიზიტი დაძაბულ ვითარებაში ჩაივლიდა, თუმცა ასე არ მოხდა.**

**ასეთი პროგნოზის ფონზე გუნდს შორეულ მოგზაურობაში მცირე რაოდენობით ქომაგი მაინც გაყვა და მათ ძალიან გაუმართლათ, რადგან თვითმფრინავში გუნდის წევრებთან ერთად აღმოჩნდნენ. „ვანმა“ თამაში კარგად დაიწყო, ბურთს აკონტროლებდა და ლელოც გაიტანა, მაგრამ ქართველები პოზიციებს ინარჩუნებდნენ და გასახდელში 6-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ (13:7).**

**მეორე ტაიმში „ვანი“ ვაჟკაცურად, თუმცა ფაქტობრივად უშედეგოდ უტევდა, რადგან ქართველთა რკინისებურ დაცვას წააწყდა, პერიოდულად უდისციპლინოდ (რასაც 4 გატანილი ჯარიმა მოყვა). სტუმრები დაცვაში თავადაც უდისციპლინოდ ირჯებოდნენ და 3 ჯარიმა მიიღეს, მათგან ბოლო მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, რამაც გამარჯვება „შავ ლომს“ არგუნა“.**

◉ მეტოქე

# კელტებთან – მეორედ

**„შავი ლომი“ ჩელენჯ თასის 2024/25 წლების სეზონის მეორე თამაშს უელსში, ჰლანეჰლიში ადგილობრივ „სქარლეთსთან“ ზეგ გამართავს და ის თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.**

ქართული ფრენჩაიზი *Parc y Scarlets*-ზე ზუსტად ერთი წლის შემდეგ ბრუნდება. შარშან, 15 დეკემბერს, „შავმა ლომმა“ ჩელენჯ თასზე თავისთვის პირველ სადებიუტო ტურნირში, ისტორიული გამარჯვება სწორედ „სქარლეთსთან“ გასვლით შეხვედრაში მოიპოვა (23:7).

### უელსური ფრენჩაიზი

1995 წელს რაგბის პროფესიულ რელსებზე გადასვლის შემდეგ, სამოყვარულო და ნახევრად სამოყვარულო კლუბები გაერთიანდნენ და პროფესიული ფრენჩაიზები, რეგიონული ნაკრებები შექმნეს, ისე, როგორც ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკასა და ირლანდიაში.

2003 წელს უელსის უმაღლესი ლიგის 9 გუნდის ბაზაზე ხუთი რეგიონული ფრენჩაიზი (ამჟამად ოთხი) შეიქმნა. გუნდი თავდაპირველად „ჰლანეჰლი სქარლეთსად“ იწოდებოდა და დასავლეთ და ჩრდილოეთ უელსს წარმოადგენდა, 2008 წლიდან კი მხოლოდ „სქარლეთსად“ იწოდება.

ის დაარსებისთანავე ჩაერთო „კელტების ლიგაში“ და პირველსავე, 2003-2004 წლების სეზონში მისი გამარჯვებული გახდა („კელტების ლიგაში“ 5 უელსური, 4 ირლანდიური და 3 შოტლანდიური ფრენჩაიზი თამაშობდა). 2011 წლიდან ტურნირს პრო 12 ეწოდა და „სქარლეთსი“ ჩემპიონი 2017 წელს გახდა, 2018-ში კი ფინალში დამარცხდა.

ცნობისათვის: პრო 12 2017 წელს პრო 14-ად გადაკეთდა, 2021 წლიდან კი რაგბის გაერთიანებულ ჩემპიონატად იწოდება და მასში ირლანდიური, უელსური, შოტლანდიური, სამხრეთაფრიკული და იტალიური გუნდები თამაშობენ.

„სქარლეთსი“ 2003 წლიდან ჩაერთო ჩემპიონთა და ჩელენჯ თასში, სადაც საუკეთესო შედეგი ნახევარფინალი ჰქონდა. 2007 და 2018 წლებში ის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდა, შარშან წინ კი ჩელენჯ თასის ნახევარფინალში „გლაზგოსთან“ დამარცხდა.

გუნდის საშინაო არენა ჴარც ყ შცარლეტს-ი 2008 წლის 15 ნოემბერს გაიხსნა და ის 14 870 მაყურებელს იტევს. მთავარი მწვრთნელი **დუეინ პილია**, კაპიტანი კი **ჯოშ მაკლეოდი**, რომელსაც უელსის ნაკრებშიც უთამაშია. მთლიანობაში, შემადგენლობაში მრავლად არიან უელსის ნაკრების მოთამაშეები.

რაგბის გაერთიანებული ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში „სქარლეთსმა“ 7-იდან 3 თამაში მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა, 17 ქულა აქვს და 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-9 ადგილზეა.

ჩელენჯ თასის წლევანდელი სეზონის პირველ ტურში „სქარლეთსი“ ‘ბაიონას“ საფრანგეთში ეწვია და დაძაბულ შეხვედრაში 76-ე წუთზე გაშვებული ჯარიმის გამო 16:17 დამარცხდა. ფრანგებს ერთი ლელო კვაჭმა **შონ ევანსმა** გაუტანა, მგეზავმა **იოან ლოიდმა** კი გუნდს 3 ჯარიმითა და 1 გარდასახვით 11 ქულა შესძინა.

# ამბები ოქტაგონიდან

UFC-ის სომეხმა მებრძოლმა **არმან ცარუკიანმა** ერთ-ერთ ინტერვიუში **მერაბ დვალიშვილზე** და მის ურთიერთობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ისინი ერთად არიან ისლამ მახაჩევის და უმარ ნურმაგომედოვის წინააღმდეგ და იმედს იტოვებს, რომ გამარჯვებას სომხური და ქართული ცეკვებით აღნიშნავენ:

**„ვფიქრობ, მე და მერაბი ისლამის და უმარის წინააღმდეგ ერთად ვართ, იმედი მაქვს ორივე მოვიგებთ და გამარჯვებას ქართული და სომხური ცეკვებით აღვნიშნავთ:**

**მერაბთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ჩვენ ერთადაც გვივარჯიშია. ის ქართველია, მე კი, სომეხი ვარ და საქართველოში დავიბადე.**

**საქართველოში ბევრი ნათესავი და ახლობელი მყავს და შეიძლება ითქვას, რომ იქ უფრო ხშირად ჩავდივარ, ვიდრე სომხეთში“** – განაცხადა ცარუკიანმა.

შეგახსენებთ, რომ 19 იანვარს



UFC 311-ზე მერაბ დვალიშვილი ტიტულის დასაცავად უმარ ნურმაგომედოვს დაუპირისპირდება, ხოლო არმან ცარუკიანის მეტოქე ისლამ მახაჩევი იქნება.

UFC-**ის მსუბუქი** წონის მებრძოლმა **გურამ ქუთათელაძემ** სოციალური ქსელი X-ის საშუალებით რაფაელ ფიზიევი გამოიწვია.

ქართველ ვიკინგს ბრძოლის გამართვა 1 თებერვალს საუდის არაბეთში სურს.

**„როგორც ვიცი, ფიზიევს მოწინააღმდეგე არ ჰყავს და მასთან ბრძოლის სურვილიც არავის აქვს. ვფიქრობ, სტილისტურად ჩვენი დაპირისპირება საინტერესო იქნება. მოდი ვიჩხუბოთ 1 თებერვალს საუდის არაბეთში“** – დაწერა სოციალურ ქსელში გურამმა.

შეგახსენებთ, რომ გურამ ქუთათელაძემ ბოლო ბრძოლა აგვისტოში ჯორდან ვუჩენიჩის წინააღმდეგ გამართა და მსაჯების გადაწყვეტილებით მოიგო.

**ილია თოფურიას** უფროსი ძმა, **ალექსანდრე თოფურია** UFC-ში სადებიუტო ბრძოლას 2025 წლის თებერვალში გამართავს.

ამის შესახებ გულშემატკივარს ქართველმა მებრძოლმა სოციალური ქსელის საშუალებით ამცნო.

**„მოგესალმებით, მინდა სადებიუტო ბრძოლაზე სასიხარულო ინფორმაცია გაგიზიაროთ. 2025 წლის თებერვალში ვიჩხუბებ, დანარჩენი დეტალები მომავალი წლის დასაწყისში გახდება ცნობილი.“** – წერს ალექსანდრე.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა მებრძოლმა UFC-თან ოფიციალური კონტრაქტი აგვისტოში გააფორმა და მისი სადებიუტო ბრძოლა წლის ბოლომდე იგეგმებოდა. თოფურიას MMA-ში სულ 6 ბრძოლა აქვს გამართული და მისი რეკორდი 5 მოგება და 1 მარცხია.




**ახლახან გაცხადდა, რომ ევროპის სუპერლიგის ორგანიზატორებმა განიხილეს და დააზუსტეს მეამბოხეთა ტურნირის შემდეგი ფორმატი:**

იგი დაიყოფა 3 დივიზიონად. უმაღლესში (ვარსკვლავურში) ითამაშებს ტოპ-5 ქვეყნის 16 გუნდი, ასევე ნიდერლანდებისა და პორტუგალიის უძლიერესი კლუბები. მეორე (ოქროს) კრებულში 16 რჩეული მოხვდება, ხოლო მესამეში (ლურჯი) – 32, საიდანაც 20 ყოველ წელს გავარდება.

წინასწარი ვარიანტით, ელიტურ 16-ეულში შეიქმნება 2 რვაგუნდიანი ჯგუფი, რომლებიც 2 წრედ 14 მატჩს გამართავენ, რის შემდეგაც 4-4 პლეი-ოფში გავა, მომავალ ჩემპიონს კი სულ 19 მატჩის ჩატარება მოუწევს ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორის 17 შეხვედრის საპირისპიროდ.

ისიც შევიტყვეთ, რომ თამაშები შუა კვირაში მოეწყობა, სასტარტო ბრძოლები კი 2025 ან 2026 წლების სექტემბერში დაინიშნება, ხოლო მოლაპარაკებებში ჩართული 100-ზე მეტი ბობოლადან მონაწილეობაზე თანხმობა 60-მა გამოთქვა.

◉ ლეგიონერები

**სპორტი და ტრავმები რომ განუყრელი მცნებებია, ყველანი ვთანხმდებით, მაგრამ როცა ეროვნული ნაკრების ერთბაშად ორი ლიდერის იძულებით შვებულებაზე გვიწევს საუბარი, დაგვეთანხმებით, ასეთ ფაქტს აუღელვებლად ვერ მივიღებთ.**

საბედნიეროდ, როგორც **ხვიჩა კვარაცხელია**, ისე **გიორგი მამარდაშვილი** სერიოზულ დაზიანებას გადაურჩნენ და, წინასწარი ინფორმაციით, მინდორს ნაახალწლევს დაუბრუნდებიან, ახლა კი უფრო კონკრეტულად ვთქვათ სათქმელი.

**ნაპოლი – ლაციო 0:1**. მართალია, კვარამ წაგებული ცენტრალური თამაში ბოლომდე ჩაამთავრა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მუხლის ტკივილის გამო უდინეზესთან და ჯენოასთან გასვლით, აგრეთვე ვენეციასთან საშინაო შეხვედრებს გამოტოვებს, გუნდს კი, სავარაუდოდ, ფლორენციაში ფიორენტინასთან ან, უფრო რეალურად, მეორე წრის სტარტზე საკუთარ მინდორზე ვერონასთან მატჩში შეუერთდება.

**რაიო ვალეკანო – ვალენსია 1:0**. მამარდას ბარძაყის კუნთის მკურნალობა მოუწევს.

თითქოს ფიზიკურ ტრავმასთან არ კმაროდეს გამკლავება, ხვიჩა მორიგ ჯერზე ნაცლიბერალთა მიერ სოციალური ქსელებით განხორციელებული წნეხის მსხვერპლიც გახდა. არა უშავს – როგორმე ამჯერადაც პირში ჩალაგამოვლებულებს დატოვებს უსამშობლოთა კასტას, როცა ნაახალწლევს ჩვეული ოსტატობით დაუბრუნდება ფეხბურთს, ჩვენის მხრივ კი დავძენთ: ძვირფასო კვარა, ის უფრო უნდა გიშლიდეს ნერვებს, აღნიშნული ბოროტების მაშხალები დითირამბებს რომ გიძღვნიდნენ!

რადგან ლეგიონერებზე ვსაუბრობთ, მათ შორეულ პერსპექტივასაც გადავწვდეთ. კერძოდ, გაირკვა, რომ 2034 წელს მუნდიალს ერთბაშად 6 ქვეყანა უმასპინძლებს – ესპანეთი, პორტუგალია, მაროკო, არგენტინა, პარაგვაი და ურუგვაი, რომელმაც 1930 წელს პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი მიიღო. დიახ, სწორედ აღნიშნული ფორუმის საუკუნოვანი იუბილეს გამო გამოუცხადეს ნდობა სამხრეთ ამერიკას, სადაც თითო მატჩი გაიმართება, საერთოდ კი 3 კონტინენტზე პირველად ჩავლენ ბობოლები.

ბუნებრივია, გვერდს ვერც ჩემპიონთა ლიგას ავუვლით, სადაც წლევანდელ დასკვნით ტურში **ოთარ კიტეიშვილმ**ა ულამაზესი ქართული გოლი კი გაიტანა, მაგრამ შტურმს მაინც ვერ უშველა საფრანგეთში ლილთან – 2:3, ხოლო **გურამ კაშია**ს სლოვანი მადრიდში ატლეტიკოსთან დამარცხდა – 1:3 და ჯერ ქულა ვერ მოიპოვა.

რაც შეეხება ლიდერებს, ლივერპულმა ექვსივე მატჩის მოგებით 18 ქულას მოუყარა თავი, ბარსელონა კი 15 ქულით მეორე ადგილზეა



# ახალი დეტალები მეტროში ბიჭის მკვლელობაში ბრალდებულზე

**ბექა მინდორაშვილს, რომელმაც მეტროში ახალგაზრდა ბიჭს ხელი ჰკრა, პატიმრობა შეეფარდა.**



ლაშა ამირეზაშვილი

გადაწყვეტილება გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ლევან გელოვანმა მიიღო.

სახელმწიფო ბრალმდებლის განცხადებით, ბექა მინდორაშვილი საზოგადოებისთვის საშიში პიროვნებაა, ის წარსულში არაერთხელაა ნასამართლევი, მათ შორის, ყაჩაღობისთვის და ადამიანების დაჭრისთვის, მათ შორის, ის პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელს თავს 2-ჯერ დაესხა.

პროკურორის თქმით, მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა ამირეზაშვილს ხელი ჰკრა, ადგილიდან მიმალვა სცადა და ის სამართალდამცავებმა შეაკავეს. ამას გარდა, პროკურორის თქმით, მის მიმართ ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისთვის უმჯობესია, პატიმრობაში იმყოფებოდეს.

დაცვის მხარემ გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს მიანდო.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ამირეზაშვილს ხელი ჰკრა და ლიანდაგებში ჩააგდო, რა დროსაც მას მოძრავი ელმავალი შეეჯახა.

ბექა მინდორაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით და განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# კეზერაშვილის „ბრილიანტების“ სახლი

**თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის სახლიდან მილიონობით დოლარის ღირებულების ბრილიანტები ამოიღეს. ათეულობით ძვირადღირებული ბრილიანტიდან ერთ-ერთი კი კეზერაშვილს 2008 წლის ომის მიმდინარეობისას, 12 აგვისტოს აქვს შეძენილი.**

კეზერაშვილმა ძვირფასი ნივთების ყიდვა ომის შემდეგაც განაგრძო. ფაქტები ადასტურებს, რომ მან ბრილიანტები 2008 წლის 19 აგვისტოს, 4 სექტემბერს და 19 სექტემბერსაც შეიძინა.

## როცა ჩვენი ვაჟკაცი ბიჭების ცხედრები ცხინვალის მისადგომებთან ესვენა, ეს არაკაცი ბრილიანტებს ყიდულობდა

**როგორც ირკვევა, ბანდიტმა კეზერაშვილმა სახელმწიფოსთვის მოპარული თანხით დიდი ოდენობით ბრილიანტები შეიძინა, მათ შორის 2008 წლის 12 აგვისტოს, რაც ნათლად აჩვენებს სახელმწიფოსა და ჯარისადმი მის დამოკიდებულებას, — ამის შესახებ ექსპერტი დავით ჩიხელიძე სოციალურ ქსელში წერს.**

მისი განცხადებით, ქვეყნის ღალატი და მტრობაა, როდესაც ომის დროს, სახელმწიფოსთვის მოპარული თანხით ბრილიანტებს ყიდულობ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ჯარისკაცების ცხედრები ამ დროს ცხინვალის მისადგომებთან ასვენია. კეზერაშვილის ეს ქმედება კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ სახეა.

„ქვეყნის ღალატი და მტრობაა, როცა ომის მიმდინარეობის დროს სახელმწიფოსთვის მოპარული თანხით ბრილიანტებს ყიდულობ და საკუთარ კომფორტს იქმნი“...

**დავით ჩიხელიძე.**

# სულთათანა

## სვეტლანა (ლანა) ხმალაძე

(1948-2024)



მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მთავარი დენდროლოგი, მცენარეთა ინტროდუქციისა და კოლექციების მართვის განყოფილების მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლანა ხმალაძე — თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული და უბრალოდ ძალიან კარგი ადამიანი.

სატყეო მეურნეობის ინჟინრის სპეციალობით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1971-1972 წლებში ლანა ხმალაძე მუშაობდა ამიერკავკასიის ტყეთმოწყობის საწარმო „ტყეპროექტში“ ინჟინერ-ტაქსატორის პოზიციაზე. 1972 წლიდან მან სწავლა განაგრძო ქ. ხარკოვში, უკრაინის სატყეო მეურნეობის და აგროსატყეო მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასწრებულ ასპირანტურაში — ტყის კულტურების სელექციისა და მეთესლეობის მიმართულებით. 1983 წელს ამავე ინსტიტუტში მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ლანა ხმალაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში 1976 წლიდან დაიწყო და მოიცავდა ყველა ეტაპს მერქნიან მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან ბაღის მცენარეთა ინტროდუქციისა და კოლექციების მართვის განყოფილების წამყვანი მეცნიერი თანამშრომლისა და განყოფილების გამგის პოზიციამდე. 2023 წლიდან დღემდე კი მას ბოტანიკური ბაღის მთავარი დენდროლოგის პოზიცია ეკავა და უძღვებოდა სამეცნიერო პროექტებს. ქალბატონი ლანას სამეცნიერო ინტერესების სფერო გახლდათ მსოფლიოს ზომიერი სარტყლისა და სხვა ბიოგეოგრაფიული რეგიონებისათვის დამახასიათებელი მერქნიანი მცენარეების ინტროდუქციისა და საქართველოს პირობებში ადაპტაციის საკითხები, საქართველოს დენდროფლორის კვლევა, დაცვა და კონსერვაცია.

მძიმე ავადმყოფობის ბოლო წლებშიც კი, ქალბატონი ლანას ყოველდღიური საქმიანობა მერქნიან მცენარეთა კოლექციების მართვა, შევსება-განახლება, მონიტორინგი, ბოტანიკურ ბაღში სარეინტროდუქციოდ ახალი ტაქსონების შერჩევა, შემოტანა, კოლექციების აღრიცხვა და ეფექტურად დემონსტრირება გახლდათ. მისი მუდმივი ზრუნვის საგანი იყო ბოტანიკურ ბაღში მერქნიან მცენარეთა ასორტიმენტის გამრავალფეროვნება და ახალი კოლექციების შექმნა. ის ათწლეულების მანძილზე ხელმძღვანელობდა ერთეული და რთულად გასამრავლებელი სახეობების გამრავლების მეთოდების დამუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას, კოორდინირებას უწევდა მსოფლიოს სხვადასხვა ბოტანიკურ ბაღებთან ეგზოტური და ადგილობრივი მერქნიანი მცენარეების თესლის გაცვლის პროცესს.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფარგლებში, ქალბატონი ლანა ხმალაძე უძღვებოდა რამდენიმე სამეცნიერო პროექტს, რომლებიც ეხებოდა საქართველოს სუბარიდული ზონის ტყის გენეტიკური რესურსების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზს, თბილისის შემოგარენში ბუნებრივად გავრცელებული მერქნიანი მცენარეების მრავალფეროვნების შესწავლას, სხვადასხვა დროს გაშენებული ტყის კულტურების ხმობის მიზეზების დადგენას, გატყევებისათვის მდგრადი მერქნიანი სახეობების შერჩევას და მათი კულტივირების მეთოდების შემუშავებას. ლანა ხმალაძის აქტიური მონაწილეობით, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მიერ განხორციელდა ურბანული გამწვანების თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა მთაწმინდის ნახანძრალი ფერდობის მცენარეული საფარის აღდგენა, საქართველოს ისტორიული ბაღებისა და პარკების დენდროფლორის შესწავლა, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბაღის, როგორც დენდროლოგიური ობიექტის შესწავლა და მრავალი სხვა.

ქალბატონ ლანა ხმალაძეს გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული ფიჭვების, წიწვოვანი მცენარეების კოლექციის, ჩრდილოეთ ამერიკის მერქნიან მცენარეთა კოლექციის, ჰიმალაისა და აღმოსავლეთ აზიის მერქნიან მცენარეთა და სხვათა ინტროდუქციისა და ადაპტაციის საკითხებს. ეს ნაშრომები წარდგენილი იყო დენდროლოგიისა თუ მცენარეთა მრავალფეროვნებისადმი მიძღვნილ არაერთ სამეცნიერო კონფერენციასა და ფორუმზე. ქალბატონი ლანა დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგა დენდროლოგებს შორის. მას, როგორც დარგის საუკეთესო სპეციალისტს, ხშირად იწვევდნენ კონსულტანტად თუ რეცენზენტად საკვალიფიკაციო ნაშრომების განხილვასა და დაცვაზე. ქალბატონი ლანას გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მისი რედაქტორობით გამოიცა წიგნი „ბათუმის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა კოლექციები — ანოტირებული სია“, რომელზეც იგი ჩვეულებისამებრ დიდი რუდუნებითა და მონდომებით მუშაობდა.

ლანა ხმალაძე პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა, როგორც ბოტანიკური ბაღის მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ირიცხებოდა ქალაქ თბილისის მერიის ექსპერტ-დენდროლოგთა ბაზაში და ასრულებდა კონსულტანტის როლს ქალაქ თბილისის მერიის ეკოლოგიური სამსახურის მიერ განხორციელებულ ურბანული გამწვანების პროექტებში. მიუხედავად ავადმყოფობისა, ბოტანიკურ ბაღში მას ყოველთვის ხალისიანს, ენერგიულს და მოტივირებულს ვხედავდით. როგორც თავად ამბობდა, ბაღში ყოფნა და საყვარელი საქმის კეთება მისთვის საუკეთესო თერაპია იყო.

ლანა ხმალაძე გახლდათ გამორჩეული გარეგნობის ქალბატონი, ყურადღებიანი, უაღრესად გულისხმიერი კოლეგა და უღალატო მეგობარი, კარგი მრჩეველი, ძალიან ხალისიანი, უთბილესი ადამიანი. ასევე, კომპეტენტური და მზრუნველი მასწავლებელი ბოტანიკური ბაღის სპეციალისტთა ახალგაზრდა თაობისათვის. მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღისთვის, მისი კოლეგებისთვის, მეგობრებისთვის.

**საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქალბატონი ლანა ხმალაძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.**

**ამ საუკეთესო სპეციალისტის და ღირსეული მოქალაქის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.**

**საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი**

# განცხადება

საქართველოს ნოტარიუსს თამარ ჯიქურაულის სანოტარო ბიუროში მიმდინარეობს აწ გარდაცვლილი ივანე (იოანე) ჯირაშვილის, რომელიც გარდაიცვალა 02 აგვისტოს, 1978 წელს და მისი შვილის მარია (მარუსა, მარიამი) მტრედაძის, რომელიც გარდაიცვალა 02 მარტს, 1982 წელს, სამკვიდრო საქმეთა წარმოება.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მიმართოთ ნოტარიუსს თამარ ჯიქურაულს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქუჩა, №184.



## ქვევრის ღვინის მწარმოებელი 12 მარანი ბერლინის გამოფენაზე

**ბერლინში ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine Berlin 2024“, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქვევრის ღვინის მწარმოებელი 12 მარანი მონაწილეობდა.**

ღვინის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნავენ, რომ RAW Wine ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი.

„RAW Wine Berlin-ზე ქართული ქვევრის ღვინის წარდგენა მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის, ღვინის მწარმოებლების მიერ პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდისთვის.

მიმდინარე წელს, ბერლინის გამოფენაზე 19 ქვეყნის 150 ბუნებრივი ღვინის მწარმოებელი იყო წარმოდგენილი, მათ შორის, მეღვინეობის ტრადიციებით სახელგანთქმული ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და სხვა.

ტრადიციულად, ქართული ღვინის მიმართ ინტერესი დიდი იყო ღვინის პროფესიონალებისა და ვიზიტორების მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2024 წელს ქვევრის ღვინის მწარმოებელი მარნები RAW Wine–ის გამოფენებში ნიუ იორკში, ტოკიოში, პარიზში, კოპენჰაგენსა და ლოს ანჯელესში მონაწილეობდნენ“.

ძვირფასო მკითხველო!

გაზეთის გამოსაწერად დაუკავშირდით:
elva.ge: 577-30-88-47
„პლანეტა ფორტე“: 577-55-66-73
* * *
გთავაზობთ ტენდერების, აუქციონების, ვაკანსიების, ყოველგვარი რეკლამის, საიუბილეო და სამგლოვიარო განცხადებების განთავსებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. განცხადების ტექსტი შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
sak@sak.ge
rkobulia29@gmail.com
ან მობრძანდით რედაქციაში:
თბილისი, აკ. წერეთლის 116, „დიდუბე პლაზას“ შენობა, IV სართ. ოფისი №448, ტელ;
577-772717, 599360035

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8323; ევრო - 2.9742;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6052;
100 რუბლი - 2.7300; თურქული ლირა - 0.0812;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6657;
1000 სომხური დრამი - 7.1975.

## ანდრია პირველწოდებული და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი

**13 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ორ დიდ დღესასწაულს – წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასლის ხსენებას.**

ცნობილია, რომ ანდრია მოციქული წარმოშობით გალილეიდან იყო. იქ მცხოვრები ხალხი გულკეთილობით და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. სახელი ანდრია ბერძნულია და ითარგმნება როგორც „ვაჟკაცური, გამბედავი“.

საგულისხმოა ისიც, რომ, როცა იოანე ნათლისმცემელმა იორდანეს ნაპირებზე ქადაგება დაიწყო, ანდრია იოანე ზებედესთან ერთად იოანე წინასწარმეტყველს გაჰყვა და იმედოვნებდა, რომ თავის სულიერ კითხვებზე პასუხს მის მოძღვრებაში პოვებდა. იმავე ხანებში უფალი იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემელთან მოსანათლად იორდანეზე მივიდა. როცა იოანე ნათლისმცემელმა უფალი იხილა, თავის მოწაფეებს მასზე მიუთითა და უთხრა: **„აჰა, ტარიგი ღმრთისაი, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“**, ამის გამგონე ანდრია იოანესთან ერთად იესოს გაჰყვა. ანდრია მოციქული თავის ძმასთან სიმონ პეტრესთან წავიდა და უთხრა: **„ვპოვეთ მესია“;** ასე შეუერთდა პეტრე ქრისტეს მოწაფეებს.

ანდრიამ, რომელიც სხვა მოციქულებზე ადრე გაჰყვა უფალს, პირველწოდებულის სახელი მიიღო...



მაცხოვრის აღდგომის შემდეგ ანდრია მოციქული სხვა მოწაფეებთან ერთად მასთან შეხვედრას ელირსა და ზეთისხილის მთაზე იმყოფებოდა, როცა უფალმა ისინი აკურთხა და ზეცად ამაღლდა!

სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ, მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. წმინდა ანდრიას წილად ხვდა შავი ზღვისპირეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ექადაგა.

სწორედ ანდრია პირველწოდებული ითვლება სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად საქართველოს განმანათლებლად.

✦ ✦ ✦



**წმინდა კეთილმსახური მეფე ვახტანგ გორგასალი 18 წლის იყო, საქართველოს სამეფო ტახტზე რომ ავიდა.**

ვახტანგ მეფის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ავტოკეფალიის საფუძვლის ჩაყრა, მან განდევნა საქართველოს ტერიტორიიდან ცეცხლთაყვანისმცემელი ქურუმები.

ვახტანგ მეფემ აღასრულა წმინდა მირიან მეფის სურვილი და იერუსალიმში ააშენა ქართველთა ჯვრის მონასტერი...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით რუსთავში აშენდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი, ხოლო სიონის საპატრიარქო ტაძარს მიუშენდა მისი სახელობის ეკვდერი.

**გიული ლიპარტია**

## ფუტკრებს ფილტვის კიბოს ამოცნობა შეუძლიათ!

**ახალი კვლევის თანახმად, ფუტკარს ფილტვის კიბოს ამოცნობა შეუძლია. ის კიბოს ადამიანის მიერ ამოსუნთქულ ჰაერში აფიქსირებს.**



მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა გასაკვირი აღმოჩენა გააკეთეს: ფუტკრებს შეუძლიათ ადამიანის სუნთქვაში აღმოაჩინონ ბიომარკერები და ქიმიური კონცენტრაციები, რომლებიც დაკავშირებულია ფილტვის კიბოსთან, – აღნიშნულია კვლევაში.

„მწერებს გასაოცარი ყნოსვა აქვს, ისეთივე როგორიც ძაღლებს“, — თქვა პროფესორმა დებაჯიტ საჰამ, MSU-ის მეცნიერებისა და ინჟინერიის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ცოცხალმა ორგანიზმმა კიბოს დაფიქსირება შეძლო. წინა კვლევებმა აჩვენა, რომ გაწვრთნილ ძაღლებს, ვირთხებს, მწერებსა და ნემატოდებსაც კი შეუძლიათ კიბოს აღმოჩენა.

„რაც მნიშვნელოვანია, ფუტკრებმა კიბოს უჯრედები ძალიან მცირე კონცენტრაციაშიც კი აღმოაჩინეს“, — თქვა საჰამ.

ამას შეუძლია გზა გაუხსნას არაინვაზიურ ტესტირებას. საჰას მიაჩნია, რომ ფუტკრებთან დაკავშირებული ეს აღმოჩენა დაავადების გამოვლენის ახალი საშუალებებს გააჩენს, რომლებიც დაფუძნებული იქნება ბიოლოგიურ სისტემებსა და სუნის ანალიზზე.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 დეკემბერს